ხობის მოამბე

№19 (7054) 20 ოქტომბერი,
სამშაბათი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ხოგმა VII საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“ უმასპინძლა

ქართულ ფოლკლორზე ზრუნვა სახელმწიფოებრივი საქმეა

მოხარული ვართ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უნიკალური ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას, აღდგენასა და პოპულარიზაციას. ქართული სულის ერთ–ერთი ყვლაზე ნათელი გამოხატულებაა ჩვენი სიმღერა და საგალობელი, გამორჩეული თავისი საოცარი მრავალფეროვნებით და ამავე დროს სულიერი ერთიანობით. ამ საერთო ქართული საგანძურის მშვენებაა მეგრული სიმღერა, რომლის კიდევ უფრო უკეთ წარმოჩენას და ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ემსახურება ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“.

ამ ფესტივალის და საფესტივალო გამოცემების დამფინანსებელია მაცონი გოდერძი მუკია; იდეის სულისჩამდგმელი კი—ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, მაცონი ანზორ ერქომაიშვილი, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ფოლკლორზე ზრუნვა, არა მარტო კულტურული, არამედ სახელმწიფოებრივი საქმეა და ჩვენი ერთგულული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ–ერთი გარანტი.

ღმერთმა დალოცოს ხობის ფესტივალის ორგანიზატორები და მონაწილენი!

ღმერთმა დალოცოს სამეგრელო, უბველესი კოლხეთი და სრულიად საქართველო!

ილია II სრულიად
საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი

ლეგენდარული თამარ გვერდწითელი

ფესტივალის ალმოჩენა ნინო გოთოშია

ანსამბლი „რუსთავი“

ფესტივალის გახსნა

გამორჩეული რეგიონალური ფესტივალი

„გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ „სიმღერა სამეგრელოზე“ გამორჩეული რეგიონალური ფესტივალია. მასში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლები მონაწილეობენ, ჩამოდიან მომღერლები, ასევე მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ფესტივალის დღეებში რეგიონების მიერ ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოდგენა.

ფესტივალი ნაყოფიერია, პოპულარობით სარგებლობს და რეგიონის კულტურულ ცხოვრებას ახალისებს. ფესტივალის საპატიო სტუმარს, მის ერთ-ერთ ორგანიზატორს ანზორ ერქომაიშვილს წელს იუბილე ჰქონდა, მაქვს პატივი მას ქართული სიმღერის, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის, კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდო „ხელოვნების ქურუმის“ წოდება გადავცე.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გასულ საუკუნეში ქართული სიმღერის ცნობადობა მეტად დაბალი იყო, ქართველი ახალგაზრდები მუსიკის ამ სფეროთი დაინტერესებულნი არ იყვნენ. ბატონი ანზორი ის ადამიანია, რომელმაც ეს პრობლემა დაინახა, გაისიგრძეგანა და დააარსა ბავშვთა ხალხური სიმღერის ანსამბლი „მართვე“. იგი თავად დადიოდა სკოლებში და ბავშვებს არჩევდა. დღეს თუ ვინმე ამ სფეროში მოღვაწეობს ყველა „მართვეს“ და ანზორ ერქომაიშვილის გამოზრდილია.

ქვეყნის გარეთ და შიგნით ხალხური სიმღერა ჩვენი იდენტობის და ჩვენი კულტურის დამახასიათებელი დარგია. ხობის ფესტივალის მიერ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ალბომები და კომპაქტ დისკები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სტუმრისთვის ძვირფასი საჩუქარი იქნება ჩვენი ქვეყნის გასაცნობად.

მიხეილ გიორგაძე,
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

31 ოქტომბერი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების დღეა

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №105/2015

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების ჩაილურის თემის №11.12, დიდი დმანისის თემის №24. 06, ზედა ვანის თემის №53.07 და **გურიფულის თემის 66.06** ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გასამართი საგარეჯოს, დმანისის, ვანისა და **ხობის მუნიციპალიტეტების** საკრებულოების შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ.

ქ. თბილისი, 2015წლის 31 აგვისტო

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სოფელ ჩაილურის მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ მარტიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს 148 განკარგულების შესაბამისად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ჩაილურის თემის №11.12 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ბესიკ მარტიაშვილს, 2015 წლის 21 აგვისტოდან ვადამდე შეუწყდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 აგვისტოს 08/190 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის დიდი დმანისის თემის №24.06 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ საკრებულოს წევრს ევა სელიმაშვილს, 2015 წლის 21 აგვისტოდან, ვადამდე შეუწყდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ივლისის რიგგარეშე სხდომის ოქმის №16 ამონაწერის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია, ვანის მუნიციპალიტეტის ზედა ვანის თემის №53.078 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა ძაგნიძისათვის 2015 წლის 27 ივლისიდან, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

„საკრებულოს წევრის ლაშა გვასალიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აგვისტოს №36 განკარგულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ლაშა გვასალიას, 2015 წლის 27 აგვისტოდან ვადამდე შეუწყდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 154-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის 11.12 ჩაილურის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში; №24 დმანისის საარჩევნო ოლქის №24.06 დიდი დმანისის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში; №53 ვანის საარჩევნო ოლქის №53.07 ზედა ვანის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქსა და **№66 ხობის საარჩევნო ოლქის №66.06 გურიფულის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საგარეჯოს, დმანისის, ვანისა და ხობის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 31 ოქტომბერს.**

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: თამარ ჟვანია.

კომისიის მდივანი: გიორგი ჯავახიშვილი.

დეპუტატობის კანდიდატები

ტარიელ ზარანდია–წარმომადგენელია №8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ, დაბადებული 1964წ, მცხოვრები ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულში, დროებით უმუშევარი, პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრი.

მელორი გელანტია



–წარდგენილია №41 საარჩევნო ბლოკი, „ქართული ოცნების“ მიერ, დაბადებული 1949წ. მცხოვრები ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულში, დროებით უმუშევარი, უპარტიო.

გამოიყენეთ თქვენი კონსტიტუციური უფლება

მინდია ლომაია–№66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

თქვენი გაზეთის საშუალებით გურიფულის თემის ამომრჩევლებს და მთლიანად ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მინდა მივულოცო გურიფულის თემში 2015 წლის 31 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების დანიშვნა.

მოგეხსენებათ, რომ 2014 წლის 15 ივნისს როგორც მთელს რესპუბლიკაში, ასევე ხობის მუნიციპალიტეტშიც, ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს არჩევნები. ამ არჩევნების შედეგად გურიფულის თემის ამომრჩევლებმა, მაჟორიტარ დეპუტატად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, აირჩიეს ბატონი ლაშა გვასალია, რომელიც 2015 წლის აგვისტოს თვეში დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლის სახელმწიფო რწმუნებულის (გუბერნატორის) ადმინისტრაციის უფროსად სამეგრელო-ზემო სვანეთში. ბატონ ლაშას, ჩვენი საოლქო საარჩევნო კომისიის სახელით, ვულოცავ ახალ თანამდებობას და ვუსურვებ წარმატებებს. რაც შეეხება ბატონი ლაშას გურიფულის თემის მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მ/წლის აგვისტოს თვეში საკრებულოს სხდომაზე შეუწყვიტა დეპუტატის უფლებამოსილება და სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ გურიფულის თემში დაინიშნა შუალედური არჩევნები.

შუალედური არჩევნები არის არჩევნების ერთ-ერთი სახე, რომელიც ტარდება მაჟორიტარული წესით ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა, ამ კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები უახლოეს მაისში ან ოქტომბერში, იმ პირობით, რომ შესაბამისი თვის ბოლომდე 60 დღე მაინც არის დარჩენილი. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი.

არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა ცესკო განკარგულებით ნიშნავს შუალედურ არჩევნების თარიღს და განკარგულებითვე ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს წევრის წარდგენის უფლება აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელი მაინც.

2015 წლის 31 ოქტომბერს გურიფულის თემის ამომრჩევლებს, მაჟორიტარი დეპუტატის ასარჩევად, არჩევანის გაკეთება მოუხდებათ ორ კანდიდატს შორის. ესენია: ტარიელ ზარანდია და მელორი გელანტია;

2015 წლის 31 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს შუალედურ არჩევნებში საარჩევნო ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არც საოლქო და არც საუბნო სარჩევნო კომისიებში არ ჰყავს კომისიის წევრები ბოიკოტიდან გამომდინარე.

2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისათვის №8 გურიფულის საუბნო საარჩევნო კომისია მ/წლის 1 ოქტომბრიდან შეუდგა მუშაობას, დაკომპლექტებულია 12 წევრით. კომისიის 6 წევრი კონკურსის წესით აირჩია №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიამ, ხოლო 6 წევრი დანიშნეს უფლებამოსილმა პარტიებმა.

დღეის მდგომარეობით გურიფულის თემში 820 ამომრჩეველია რეგისტრირებული.

არჩევნები საზოგადოებაში თანხმობის მიღწევის საუკეთესო გზაა, თუ ის ტარდება თავისუფლად, გამჭვირვალედ და სამართლიანად.

ჩვენ ვზრუნავთ, რათა თითოეულმა ამომრჩეველმა შეძლოს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ნების თავისუფალი გამოვლენა, რაც უზრუნველყოფს ჩატარებული არჩევნების მაღალ ლეგიტიმაციას და დიდ საერთაშორისო ავტორიტეტს.

გურიფულის თემის თითოეულ ამომრჩეველს მოვუწოდებ, რომ 2015 წლის 31 ოქტომბერს მობრძანდნენ საარჩევნო უბანში და გამოიყენონ კონსტიტუციური უფლება, რათა აირჩიონ თემის რჩეული.

№8 გურიფულის საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობა:

1. მალხაზ სიორდია–კომისიის თავმჯდომარე,
2. ზვიად საჯაია–კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
3. ია კაკულია–კომისიის მდივანი,
4. მანანა თათარიშვილი–წევრი,
5. ინგა სხულუხია–წევრი,
6. კლიმენტი ძიძავა–წევრი,
7. ნუნუ ეშბა–წევრი,პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დანიშნული,
8. მანონი ცქირია–წევრი, კონსერვატიული პარტიის მიერ დანიშნული,
9. ნინო ქარჩავა–წევრი,რესპუბლიკური პარტიის მიერ დანიშნული,
10. ლუიზა წურწუმია–წევრი, პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ დანიშნული,
11. მიხეილ კვიკვინია–წევრი, პ/გ „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ დანიშნული,
12. ავთანდილ საჯაია–წევრი, პ/გ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ დანიშნული.

ფესტივალმა დიდი სიამოვნება მიანიჭა მსმენელს

2003 წელს ბატონმა გოდერძი ბუკიამ ხობის საერთაშორისო ფესტივალი–„სიმღერა სამეგრელოზე“ დააფუძნა. ამ პერიოდში იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და არამატერიალური, ხელთუქმნელი საგანძურის შედევრად აღიარა. ქვეყანაში იმ დროს არსებული რთული ვითარების გამო, ამ მნიშვნელოვანი ფაქტის სათანადოდ მხარდაჭერა ვერ ხერხდებოდა, ამიტომ ბატონი გოდერძის მიერ „ხობის ფესტივალის“ დაფუძნება განსაკუთრებული მოვლენა იყო.

გოდერძი ბუკიამ ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფში მიიწვია ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალი დონის პროფესიონალები. მათ „ხობის ფესტივალის“ ძირითად საქმიანობად მიიჩნიეს ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია და კულტურის მოამაგეთა წარმოჩენა. ამის გამო დღემდე ჩატარებული ყველა ფესტივალი ღვაწლმოსილ პიროვნებებს მიეძღვნა.

ხობის ფესტივალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აკურთხა, კომპოზიტორმა ალექსანდრე ბასილაიამ დაწერა შესანიშნავი ჰიმნი, ხოლო მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ შექმნა არაჩვეულებრივი ემბლემა. გოდერძი ბუკიას ძალისხმევით, ეს ფესტივალი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ წელს უკვე მეშვიდედ ტარდება.

12 წლის ხობის ფესტივალებში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის გამოჩენილმა ანსამბლებმა, ასევე უცხოეთის კოლექტივებმა, რომლებიც ქართულად მღერიან. მათ შორის იყვნენ: „ოქროს სტუმრები“ (უცხოელ შემსრულებელთა ნაკრები), „მასპინძელი“ (დიდი ბრიტანეთი), „გორანი“ (ავსტრალია), „ზარი“ (კანადა), „ირინოლა“ (საფრანგეთი), „იბერია“ (თურქეთი), „თამარისანი“ (რუსეთის საპატრიარქოს მგალობელთა გუნდი), „ვრემენა გოდა“ (მოსკოვის კამერული ორკესტრი), „რომენი“ (ბოშათა ანსამბლი) და სხვ.

საგულისხმოა, რომ ხობის ფესტივალში მონაწილეობდნენ მსოფლიოში აღიარებული საოპერო მომღერლები: მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ სოტკილავა და ელენე ობრაზცოვა, ასევე ესტრადის ცნობილი ვარსკვლავები და ახალბედა მომღერლები, რომელთაგან ბევრმა ხობის სცენაზე აიდგა ფეხი.

ხობის მეხუთე ფესტივალის აღმოჩენა იყო 14 წლის ხობელი ნინო გოთოშია, რომელმაც არაჩვეულებრივი ვოკალური მონაცემებით მოხიბლა მსმენელი. იგი გოდერძი ბუკიას მეურვეობით თბილისში, პედაგოგ გულიკო კარიაულის კლასში ჩაირიცხა. წელს ნინო კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი გახდა, აღსანიშნავია, რომ 16 წლის ნინო გოთოშიამ, სახელოვან ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად, კომპაქტურ დისკზე ჩაწერა უნიკალური მეგრული სიმღერები. ეს დისკი წლევანდელ ფესტივალზე იხილა საზოგადოებამ.

სხვადასხვა დროს ხობის ფესტივალისთვის სპეციალურად შექმნეს სიმღერები ჩვენმა შესანიშნავმა კომპოზიტორებმა: ალექსანდრე ბასილაიამ, ვაჟა აზარაშვილმა, იაკობ ბობოხიძემ, მარიკა კვალიაშვილმა, გომარ სიხარულიძემ, ნუნუ დუღაშვილმა, ოთარ ტატიშვილმა და სხვებმა.

ცალკე მინდა გამოვყო ხობის ფესტივალის საგამომცემლო (ბეჭდვური, აუდიო, ფონო, ვიდეო) საქმიანობა, მათ შორის აღსანიშნავია ოთხტომეული–„ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“–(სამეგრელო), რომელიც ამ კუთხის 43 საუკეთესო ლოტბარის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა. ის, რაც ამ 12 წლის მანძილზე ხობის ფესტივალმა გააკეთა, ოქროს ასოებით შევა ქართული ფოლკლორის ისტორიაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საფესტივალო გამოცემათა მთავარი რედაქტორის, ვახტანგ როდონაიას უდიდესი დამსახურება. იგი თავად იყო ქართული სიმღერის კარგი მცოდნე და დამფასებელი, ამიტომ მისთვის დამახასიათებელი მაღალი პროფესიონალიზმით ჩაერთო საფესტივალო საქმიანობაში და ამ გამოცემებში ქართული ფოლკლორისადმი წრფელი სიყვარული ჩააქსოვა. ვფიქრობ, ხობის ფესტივალის საგანძური (საფესტივალო გამოცემების კატალოგი) ყველაზე მეტად მას გაახარებდა, რადგან იგი ყოველთვის წუხდა, რომ ინფორმაციული ნაკლებობის გამო, საზოგადოება ჯეროვნად ვერ აფასებდა ხობის ფესტივალის მნიშვნელობას.

სასიხარულოა, რომ ბატონმა გოდერძი ბუკიამ და საქველმოქმედო ფონდმა „ხობი“, ეს ნაშრომი ვახტანგ როდონაიას ხსოვნას მიუძღვნეს, რითაც მისი სახელის უკვდავყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

წლევანდელი ფესტივალი გამოჩენილ საესტრადო მომღერალს თამარ გვერდწითელს და ანსამბლ „რუსთავს“ მიეძღვნა. ვფიქრობთ, ხობის ფესტივალმა ამჯერადაც დიდი სიამოვნება მიანიჭა მსმენელს.

ანზორ ერქომაიშვილი.

ხიყვარულიხა და ხიკეთიხ „ბიბლიური ფურცელი...“

ჩვენ, ჩვენი კულტურის იდენტური სახეები უნდა ვიყოთ. კულტურა ხომ ადამიანის არსობრივ ძალთა გამოვლენის საშუალება და არსებითი დონის მაჩვენებელი ფენომენიცაა. ის არა მარტო მიზანია, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდნენ ადამიანები, არამედ გრძნობების აღზრდის უნიკალური საშუალებაც, რომელიც იძლევა იმპულსს უკეთესობისკენ. მით უფრო, როცა საქმე გვაქვს პოლიფონიურ კულტურასთან. ანუ, როგორც ძველი ელინელები იტყოდნენ: ღმერთების ენასთან.

სამყაროს განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სულიერი კულტურის არა რომელიმე ცალკე აღებული ელემენტი, არამედ სულიერი კულტურა მის მთლიანობაში, ე.ი. ხელოვნება, ზნეობა და ამაღლებული თეორიული დამოკიდებულება სინამდვილისადმი. სწორედ ასეთ ზნემაღალ სივრცითობაში იყვნენ მოქცეულნი ხობელები და მათი ღვთივნათელი სტუმრები, ტრადიციად ქცეული ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ სტუმრობდა მარადისობის ბინადართ: სახელოვან ანსამბლ „რუსთავს“ და უნიკალურ ესტრადის მომღერალ–თამარ გვერდწითელს!

ეს გახლდათ ზეიმი სიყვარულისა და მადლიერებისა, რომელიც გამოიჩინა ღირსეულმა მაყურებელმა და მსმენელმა უკვდავი ანსამბლისა და ასევე ცამაღალი შემოქმედის თამარ გვერდწითელისადმი! „სიმღერა სამეგრელოზე“ ახალი უსაზღვრულესი სამშვენისებით შემოიჭრა არა მარტო ხობელთა, არამედ სრულიად ქართველთა, როგორც შემოქმედებით, ისე ესთეტიკურ თვალსაწიერში. ფესტივალის ეგიდით აღსდგა ათეულობით დავიწყებას მიცემული უძველესი კოლხური სიმღერა, გამოიცა პოლიფონიური კულტურის შესაბამისობით აღვსილი მეცნიერულ-მხატვრული ხასიათის ლიტერატურა, მეგრული პოეზიის ერთტომეული, ასევე კომპაქტდისკები და სხვა უამრავი რამ, რომელიც ფასდაუდებელ საგანძურად მიენაგრება ჩვენს მომავალ თაობას!

ცალკე და განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ფესტივალის უდიდესი მონაპოვარი, უნიჭიერესი მომღერალი ნინო გოთოშია, რომლის ხმა და სახელი, უახლოეს მომავალში, იმედია, სულ სხვა მასშტაბებით გაჟღერდება ევროპულ სარბიელზე!

2 და 3 ოქტომბერი გახლდათ „ბიბლიური ფურცელი“ ქართული კულტურული სიმაღლისა. მშვენიერების ფრთათეთრი ანგელოზი დაბრძანდებოდა ჩვენს შორის–ფოლკლორული ნიმუშების, სიმღერების სახით და სიყვარულისა და სიკეთის დასტურად.

ღმერთმა დალოცოს ამ დიდებული საქმის მეწინავენი ბატონი გოდერძი ბუკიას ხელმძღვანელობით. უფალმა მიუბოძოთ ღვთიური ძალისხმევა კიდევ მრავალი საღვთო საქმის საკეთებლად!

მადლიერებითა და პატივისცემით

ლაშა გვასალია,
მწერალი.

სიყვარულისა და მადლიერების ხეიმი

მთელი საქართველო სამეგრელოდან მოეფერა სახელგანთქმულ ანსამბლ „რუსთავს“ და ლეგენდარულ თამარ გვერდწითელს.

„ქართულ სიმღერას ანგელოზის ფრთები აქვს, ანგელოზის ფრთები მარადიულია და არ იმსხვრევა.

ანგელოზის ფრთებით გადასწევს ქართული სიმღერა პლანეტის სივრცეს, როგორც სცენის ფარდას და იქ შეახედებს უზარმაზარ აუდიტორიას.

ქართული სიმღერა დინებად იქცა. ეს დინება იჭრება ევროპისა თუ ამერიკის, ავსტრალიისა თუ აზიის კონტინენტებზე.

მას ელოდებიან,“–წერდა უდიდესი ქართველი ჯანსუღ ღვინჯილია.

2-3 ოქტომბერს, მართლაც ანგელოზის ფრთებით დაფრინავდა ქართული სიმღერა ხობში, თითქოს დიდ აუდიტორიას, თითოეულ ჩვენთაგანს მხრებზე გვეჯდა და ღვთიური ჰანგით გვატკბობდა...

...თავიდან იყო იდეა, რადგან ზოგადად, ქართული ფოლკლორის წარმოჩენა-გადარჩენის თვალსაზრისით დეფიციტი იგრძნობოდა.

2003 წელს იწყება ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია, კულტურის მოამაგეთა წარმოჩენა და ახალგაზრდების ჩართულობა ეროვნული ღირებულებების გადასარჩენად. საამისოდ იქმნება ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“...

საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ მესვეურებმა, რომლის პრეზიდენტიც საქართველოს პარლამენტის წევრი გოდერძი ბუკია გახლავთ, ფესტივალი ტრადიციად აქციეს და გენოფონდი გადაარჩინეს“–ეს სიტყვები გომარ სიხარულიძეს ეკუთვნის.

იმავე, 2003 წელს, მაშინ, როდესაც კოლხეთის შუაგული–ხობი, ფესტივალს მასპინძლობს, იუნესკო ქართულ ხალხურ სიმღერას კაცობრიობის ზეპირსიტყვიერების და არამატერიალური ღირებულებების შედევრად აღიარებს.

ორგანიზატორები არ ჩერდებიან. საერთაშორისო დონეზე მატულობს ინტერესი, იზრდება მოთხოვნილებები, იქმნება მატიანე და ყოველივე ერთ დიდ ოჯახში იყრის თავს, რომელსაც „ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული (მეგრული) სიმღერის მუზეუმი“ ერქმევა.

„ევროპის არც ერთ ქვეყანაში ანალოგი არ გვხვდება. ის, რომ სიმღერას მუზეუმი შეუქმნეს, უპრეცენდენტო შემთხვევაა“–ხაზგასმით და თამამად აღნიშნავენ ფოლკლორისტები.

ფესტივალი არსებობის 12 წელიწადს ითვლის. ამ ხნის მანძილზე მოხერხდა ჩვენი იდენტობის, კულტურული ღირებულებების, ცნობიერების წარმოჩენა. შეიქმნა არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა, კომპაქტდისკები, კატალოგები, ალბომები, რომელსაც „ხობის ფესტივალის საგანძური“ დაერქვა.

2015 წელი ყველაზე გამორჩეული აღმოჩნდა. მთელი საქართველო სამეგრელოდან მოეფერა სახელგანთქმულ ანსამბლ „რუსთავს“ და ლეგენდარულ თამარ გვერდწითელს.

იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აჭარა, კახეთი ყველა ერთად და ერთხმად შეერწყა ხობის საერთაშორისო ფესტივალს.

„მზიურის“ ახალმა თაობამ სპეციალურად ფესტივალისთვის პოპური მოამზადა.

თამარ გვერდწითელმა ხობის სცენაზე „მზიურის“ პირველ თაობასთან ერთად ბავშვობა გაიხსენა. დიდ მომღერალთან დუეტი შეასრულეს ქართული ესტრადის ახალგაზრდა მომღერლებმა ნოდიკო ტატიშვილმა და გიორგი სუხიტაშვილმა. სამეგრელოს კუთხურ დიალექტზე ამღერდა ესტრადის დიდი ვარსკვლავი, რასაც მსმენელთა დიდი ოვაცია მოჰყვა.

ანსამბლ „რუსთავის“ „ჰარირა“ და „ჩელა“ გულშიჩამწვდომ ჰანგებად გაიჭრა სცენიდან და კარდაკარ დაიარა თითოეული ხობელის ოჯახი. გვერდწითელის „მრავალჟამიერმა“ ექოდ ჩამოუარა მთელ საქართველოს. ხობმა კულტურის თვითმყოფადობის, გემოვნებიანი მუსიკის სიყვარულის და ერთობის დიდი რენელიას, ძეგლთა დაცვისა და კულტურის მინისტრს მიხეილ გიორგაძეს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასრუქტურის მინისტრის მოადგილეს ეკა სეფაშვილს და ფესტივალის სტუმრებს მეგზურობა გაუწიეს და ეთნოკუთხეები დაათვალიერებინეს.

არა მარტო სტუმრები, არამედ მასპინძლებიც აღტაცებას, კმაყოფილებას და სიხარულს ვერ მალავდნენ, ინტერესით ათვალიერებდნენ სენაკის, ჩხოროწყუს, მესტიის, აბაშის და საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მიერ სახელდახელოდ მოწყობილ კუთხეებს...

მიუხედავად განსაკუთრებული ხალხმრავლობისა, ყველგან სამეგრელოსთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული პეწი და სილამაზე იგრძნობოდა. ეს უდაოდ ფესტივალის ორგანიზატორ გოდერძი ბუკიას, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის და პირადად გუბერნატორ ბატონ ლევან შონიას, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ედიშერ ჯობავას, ფესტივალის დირექტორის ბატონ რევაზ წულაიას, გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსის ქალბატონ როზეტა შულაიას და მათი გუნდის დამსახურება გახლდათ.

ხობის მოსახლეობა, ერი და ბერი ორი დღის განმავლობაში ერთ მუშტად იყო შეკრული, რაც ფესტივალის წარმატებით დამთავრების შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდა.

„თავიდან გვიჭირდა, 12 წლის განმავლობაში ჩვენც შევეჩვიეთ და შევესისხლხორცეთ ამ ღონისძიებას, ამიტომაც მშვიდად, ლამაზად და, რაც მთავარია, გულის სითბოთი ჩატარდა ყველაფერი. ბედნიერებითა და სიამაყით აღსავსენი დაღლას ვერ ვგრძნობდით, –გვითხრა კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ. როგორც შემდეგ გაირკვა, მხოლოდ დასკვნით საღამოზე კულტურის სახლის სცენაზე 500-ზე მეტი შემსრულებელი ავიდა.

2 ოქტომბერს ზეცას ღრუბლები მოეძალა, თუმცა იმედი იმისა, რომ არ გაწვიმდებოდა, ბოლომდე არ გამართლდა. ფესტივალი ქალაქის მთავარ მოედანზე საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე გაიხსნა, მეგრულმა (და არა მარტო) მუსიკამ და სიმღერამ დაიპყრო სამეგრელო, ნიავმა მიმოფანტა ქართული (მეგრული) ჰანგები, მალამოდ მოესალბუნა კოლხეთს და სრულიად საქართველოს.

საზეიმო გახსნის ცერემონიალის შემდეგ, უამინდობის გამო, ღონისძიების ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ თეატრის სცენაზე გადაენაცვლათ... მოედანზე ხალხი არ დაშლილა, სახელდახელოდ დამონტაჟებული მონიტორებით შეძლო ყველამ დამტკბარიყო ქართული (მეგრული) სიმღერებით და ცეკვებით...

უამინდობამ ვერ დააოკა ამღერებული სული... 2 ოქტომბერის საღამო რეალურად მეტყველებდა, რომ 3 ოქტომბერს წინ უფრო დიდი სიამოვნება, გრანდიოზული კონცერტი გველოდა...

3 ოქტომბერს, თითქოს უფალმა ხობელთა ვედრება შეისმინაო, გამოიდარა, დარცხვენილი მზე ღრუბლებიდან თავის დახსნას ლამობდა და მორცხვად იმზირებოდა.

როგორც ყველა წინა ფესტივალზე, 3 საათზე შედგა საფესტივალო გამოცემების პრეზენტაცია, რომელიც ბატონმა გოდერძიმ ბუკიამ გახსნა. ჩვეული სითბოთი და სიყვარულით მიესალმა მის ოდაბადეს, მშობლიურ კუთხეს, ყველა მონაწილეს, ისაუბრა იმაზე, რომ პირველად ჩაიწერა და გამოიცა ანსამბლ „რუსთავის“ 380 სიმღერა და ნინო გოთოშიას 10 მეგრული სიმღერა ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად. საფესტივალო გამოცემების კატალოგი (მიეძღვნა ვახტანგ როდონაიას ხსოვნას).

მან პატივი მიაგო ფესტივალის სულისჩამდგმელების ალექსანდრე ბასილაიას (ჰიმნის ავტორი), ემირ ბურჯანიძის (მხატვარი, ფესტივალის ემბლემის ავტორი), ვახტანგ როდონაიას (ყველა საფესტივალო გამოცემის ავტორი და რედაქტორი), ბორის წიფურიას ერთ-ერთი ფესტივალის რეჟისორი) ნათელ ხსოვნას.

მადლობა გადაუხადა ფესტივალის უცვლელ სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ გომარ სიხარულიძეს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ხობის საერთაშორისო ფესტივალის იდეის ავტორისა და ორგანიზატორების შესახებ ისაუბრა:

„ორგანიზატორებს ძალიან დიდი მადლობა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა გოდერძიმ მთხოვა ჩემზე ცალკე ნუ ილაპარაკებო, არ შემიძლია მისი პერსონალური დამსახურება და ღვაწლი არ აღვნიშნო ამ ფესტივალის შენარჩუნებაში, განვითარებასა და პოპულარიზაციაში. თქვენ, რომ ნახოთ ეს ადამიანი როგორ გესაუბრება ფესტივალზე, ისე, რომ შენც შეიგრძნო ამ ფესტივალის ხასიათი, მნიშვნელობა, ნახო როგორ ენთება მას თვალები, შეუძლებელია, ამ ფესტივალის ძალიან აქტიური მხადრამჭერი და თანამოაზრე არ გახდე. ამიტომ პერსონალური და განსაკუთრებული მადლობა ბატონ გოდერძი ბუკიას, მთელ მის გუნდს, ადგილობრივ ხელისუფლებას“.

ანზორ ერქომაიშვილი: ხობის ფესტივალი ყოველ ჯერზე გამოჩენილ მუსიკოსებს ხვდება, გარდა ამისა, მან ბევრი საინტერესო ადამიანი წარმოაჩინა, რომლებიც შემდგომ პოპულარულები გახდნენ. წელს ფესტივალი მრავალრიცხოვანი მონაწილეებითაა წარმოდგენილი, 500-მდე მონაწილე ავიდა სცენაზე და მსმენელს თავისი შესაძლებლობა აჩვენა. ჩემთვის დიდი პატივია ანსამბლ „რუსთავის“ მოღ-

5

ვაწეობის ესოდენი დაფასება. ანსამბლმა თავისი არსებობის ორმოცდაშვიდი წლის მანძილზე მსოფლიოს ოთხმოცამდე ქვეყანა მოიარა და ხუთასამდე კონცერტი გამართა. ანსამბლის ნამღერი 380 სიმღერა კომპაქტ დისკებზე განთავსდა, უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ „რუსთავის“ სახელი არ დაიკარგება. აღარ არიან ცოცხლები ხობის ფესტივალის მოამაგენი: კომპოზიტორი ალექსანდრე ბასილაია, რომელმაც ფესტივალის ჰიმნი დაწერა, მხატვარი ემირ ბურჯანაძე, არაჩვეულებრივი გამოცემების ავტორი ვახტანგ როდონაია, მაგრამ სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ხობის ფესტივალი გრძელდება და იგი სამომავლოდ კვლავ მრავალ საინტერესო სიურპრიზს გვპირდება.“

პრეზენტაციის შემდეგ ვიდრე კონცერტი დაიწყებოდა, სტუმარ-მასპინძლებს ჭადრების ხეივანში სახელდახელოდ მოწყობილი ფაცხები მასპინძლობდა. ულამაზესი და საინტერესო ნამუშევრების გამოფენებით.

სენაკელებს, მაცაცო ხახუბიას და მანანა მურღულიას, თავიანთი ნამუშევრები გამოეფინათ. ქალბატონი მანანა ხობში არსებული რეალობით აღფრთოვანებული, გრანდიოზული კონცერტის მოლოდინის სიხარულს ვერ მალავს...

თვალს ახარებს „ყელმოღერებული“ ჩონგურების კოლექცია. არანაკლებ იწონებს თავს მისი „ავტორი“ დემურ ანთია ჩხოროწყუს რაიონის სოფელ სარაქონიდან, ულამაზესია ბზისგან დამზადებული საოჯახო ნივთები–ფიალები, სანაყი, ყანწები...

გამორჩეულები არიან სვანები. ფოლკლორულ ანსამბლ „რიჭოს“ სამხატვრო ხელმძღვანელი ვახტაგ ფილფანი ახლდა.; აქ სვანებისა და მეგრელების მოსიყვარულებისა და მოფერების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი შედგა. „სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება“ მეგრული სიმღერის უნიკალურობაზე საუბარს აგრძელებს ბატონი ვახტანგი.

მიხარია ერთ მუშტად შეკრულ სამეგრელოს რომ ვხედავ. დიდი ილიას სიტყვები „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახე“ მახსენდება, რომელიც დღეს უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

მოსაღამოვდა, მზე უღიმღამოდ ჩაესვენა. წვიმის მომასწავებელი ღრუბლები ჩამოწვა... ფესტივალის რეჟისორის და საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით ღია ცის ქვეშ დაანონსებულმა კონცერტმა თეატრის სცენაზე გადაინაცვლა... მოზღვავებულ მაყურებელს, თამრიკო გვერდწითელის, ანსამბლ „რუსთავის“ და ნინო გოთოშიას თაყვანისმცემლები დარბაზმა ვერ დაიტია, მაგრამ აქაც გამოინახა გამოსავალი, გარეთ მონიტორები დამონაჟდა...

...დაუვიწყარი საღამო დაიწყო. ფესტივალის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ბატონი გოდერძი ბუკია ხსნის კონცერტს, სცენაზეა ლეგენდარული თამრიკო გვერდწითელი, ანსამბლი „რუსთავი“, ნინო გოთოშია, ცნობილი მომღერლები (მონაწილეთა რიცხვმა 500 გადააჭარბა), კონცერტის „მრავალჟამიერ საქართველოსთვის“ რეჟისორებმა ზაზა ორაშვილმა და გიგლა კიტიამ სული და გული ჩადეს ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებაში.

ანსამბლი „რუსთავის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს ანზორ ერქომაიშვილს ქართული ფოლკლორის გადარჩენასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ „ხელოვნების ქურუმის“ საპატიო წოდება მიანიჭა და ეს თავად მინისტრმა გაახმოვანა, რასაც მაყურებლის დიდი ოვაცია მოჰყვა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ ერთ-ერთმა პირველებმა მიულოცეს თამარ გვერდწითელს „ხობის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭება, რამაც მომღერალს უდიდესი სიხარული მოჰგვარა და პირობაც დადო, რომ ხობში ხშირად ჩამოვიდოდა...

კულტურის სახლის მრავლისმომსწრე სცენაზე ზეიმობდა ქართული სული, ჯიში და გენი, ზეიმობდა მეგრული სიმღერა თავისი სისადავით, ლამაზი მელოდიკით, ჰარმონიულობით გამორჩეული, გულში ჩამწვდომი დარდითა და სიხარულით, წარსულით და აწმყოთი.

ვაჟა ფშაველას მოუხმო გულმა... ამეკვიატა მისი დიდებული სტრიქონი „მემღერება და ვმღერი.“ ულხინდა და მღეროდა ქართველი მაშინაც კი, როცა უჭირდა, ამიტომაც დაარქვა ქართველმა ჭირის სიმღერას „ზარი“–თავზარდამცემი სიტყვა...

ფეხზე მდგომი მაყურებელი ემოციას ვერ მალავს, ქუხს დარბაზი, „მზიური“ და მზიურელები, ჩვენი ნინო გოთოშია–საერთაშორისო არენაზე გასასვლელად მომზადებული, უკვე კონსერვატორიის სტუდენტი, სხვა სახელოვან მომღერალთა სახელ-გვარებს ქაღალდი ვერ დაიტევს, კმაყოფილი მაყურებელი მქუხარე ტაშით ავჯილდოებს მათ...

„მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა, „მუმლი მუხასა“ და „ლილეოსი“ და გმირთა ჩვენთა არის სიმღერა, ეს სიმღერაა საქართველოსი“–გუგუნებს დარბაზი...

კონცერტი დამთავრდა, მაყურებელს უჭირს დარბაზის დატოვება...

...ფეიერვერკებმა გაანათა ხობი...

ფესტივალის ორგანიზატორების მიმართ მაყურებელს სამადლობელი არ ელევა.

„ჩვენი სიმღერები პირამიდებია, მათ უკან საუკუნეები დგანან“

ირაკლი აბაშიძის ეს სტრიქონები მიესადაგა ხობის ფესტივალის დღეებს, რადგან მან კიდევ ერთხელ გააცოცხლა საუკუნოვანი სიმღერები.

* * *

ორდღიანი ფესტივალი დასრულდა. ერთიან სივრცეში დანახული სამეგრელო, ქართული ფოლკლორი, ღირსეული შემსრულებლები, შემოდგომის ჩვეული წვიმიანი ამინდი, ფოთოლცვენას აყოლილი აპლოდისმენტები ხობის საერთაშორისო ფესტივალის ისტორიის ფურცლებს ლამაზ მოგონებად შეემატა.

მომავალ ფესტივალამდე!

მერი ლაგვილავა.

უდიდეს ეროვნულ განძს–უძველესი კოლხეთის სურნელით გაჟღენთილ მეგრულ სიმღერას ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ კულტურაში. ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული ხობის ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ ქართული ტრადიციული მუსიკის შესწავლას, აღდგენასა და პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ყოველწლიურად ფესტივალი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ქართული პოლიფონიით დაინტერესებულ უამრავ ანსამბლს მასპინძლობს. ფოლკლორთან ერთად აქ კლასიკური და საესტრადო მუსიკაც ჟღერს. საორგანიზაციო კომიტეტის თითოეული წევრის თავდაუზოგავი შრომის შედეგად ფესტივალი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. ის უკვე დიდ სახალხო ზეიმად იქცა.

ხობის ფესტივალმა ბევრი ახალგაზრდა შემსრულებელი გამოავლინა, ერთ-ერთი მათგანი მომღერალი–ნინო გოთოშიაა. ნინოს მოსასმენად და აზრის გამოსათქმელად ანზორ ერქომაიშვილმა თბილისში გამართულ „ჩვენებურების“ ფესტივალზე მიმიწვია, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. შეუძლებელი იყო არ მოვხიბლურვიყავი ნინოს სიმღერით, მისი უნიკალური ხმის ტემბრითა და ჟღერადობის ძალზედ ინტიმური მანერით. ხობის ფესტივალის ორგანიზატორის, საქართველოს პარლამენტის წევრის, ცნობილი ქველმოქმედის–ბატონ გოდერძი ბუკიას დახმარებით ნინოს თბილისში გადმოყვანა გადაწყდა. ევგენი მიქელაძის სამუსიკო სასწავლებლის ვოკალურ განყოფილებაზე, ჩემს კლასში იგი კლასიკური სიმღერის ანა-ბანას დაეწაფა. პარალელურად, ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად გოგონამ მოამზადა და ჩაწერა პირველი კომპაქტური დისკი „მეგრული სიმღერები“–სპეციალურად ხობის მეშვიდე ფესტივალისთვის.

წელს ნინო თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ახალგაზრდა მომღერალს, თავისი არაჩვეულებრივად ლამაზი ტემბრის ხმა, უნატიფესი და იმავდროულად სულიერი სიმტკიცის მატარებელი სასიმღერო ბუნება, პიროვნული ხიბლი და ჩვენი, ქართული ვოკალური საშემსრულებლო სკოლა წარმატებულ საოპერო მომღერლად აქცევს.

მადლობა ხობის ფესტივალის მესვეურთ ყოველივე ამისთვის!

გულიკო კარიაული,
თბილისის ვანო ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო აკადემიური სიმღერისა და საოპერო მომზადების მიმართულების პროფესორი:

გზა ხობიდან რომამდე–ქართველი გოგონა, რომელსაც საოპერო სცენაზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ

ნინო გოთოშია პირველად 2011 წელს ხობის ფესტივალზე „სიმღერა სამეგრელოზე“ ვნახე, მაშინ 14 წლის იყო და შესანიშნავი ხმით გამოირჩეოდა. ვუთხარი კიდეც,–იქნებ იაქტიურო და რომელიმე სატელევიზიო მუსიკალურ კონკურსში, ან მეგაპროექტში ჩაერთო-მეთქი. ჯერ პატარა ვარო,–მითხრა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ მას პროექტ „ნიჭიერთან“ დაკავშირებით უკვე არაერთი იმედგაცრუება ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ ჟიურისა და დარბაზში მყოფი მაყურებლის დადებით შეფასებას იმსახურებდა, მის ნამღერს 2 სეზონის განმავლობაში ეთერშიც არ უშვებდნენ.

მაშინ ნინოს დედამ, ქალბატონმა რუსუდანმა ჟურნალ „გზას“ ინტერვიუ მისცა და აღნიშნა, რომ „ნიჭიერის“ წარმომადგენლებმა მის შვილს კამერის წინ ტყუილის თქმა შესთავაზეს, რაზეც გოგონა არ დათანხმდა... მოკლედ, ამ პროექტს ის სკანდალურად დაუკავშირდა. მაგრამ ეს ყველაფერი ახლა უკვე წარსულია...

ნინო ხობშია დაბადებული, როგორც მასზე გვეუბნებიან, არაერთ მუსიკალურ კონკურსში აქვს მონაწილეობა მიღებული, დაჯილდოებულია რამდენიმე გრან-პრითა და ოქროს მედლით. რომსა და ფლორენციაში წარმატებული სასცენო გამოსვლაც ჰქონია. ფაქტია, რომ მისი ნამღერი მაყურებელს მოსწონს.

ხობში (2011 წელი), როდესაც საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ უნდა ჩატარებულიყო, ქართველმა მუსიკოსებმა–ანზორ ერქომაიშვილმა, გომარ სიხარულიძემ და ვაჟა აზარაშვილმა მოუსმინეს, გაოცდნენ და ფესტივალის გახსნის პატივი მას არგუნეს. მოკლედ, ასე გახდა ის ხობის ფესტივალის აღმოჩენა...

წელს, უფრო სწორად რამდენიმე დღის წინ, უკვე გაზრდილი ნინო ხობის VII ფესტივალზე ჩასულმა ისევ ვნახე. ანსამბლ „რუსთავს“ მასთან ერთად სოლო-ალბომი გამოუცია, რომელიც 11 მეგრულ სიმღერას აერთიანებს, რომლის პრეზენტაციაც იქვე მოხდა და ისიც შევიტყვე, რომ ნინოს ესტრადაზე საბოლოოდ უარი უთქვამს და საოპერო მიმართულებით გაუგრძელებია სწავლა. წელს კონსერვატორიის სტუდენტი გამხდარა.

ნინო გოთოშია:

–2011 წლის ფესტივალის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ორგანიზატორებმა (გოდერძი ბუკია, საქველმოქმედო ფონდის „ხობი“ პრეზიდენტი) ბოლომდე მიპატრონეს და დღეს უკვე კონსერვატორიის სტუდენტი ვარ... ასევე მაქვს ანსამბლ „რუსთავთან“ ჩაწერილი დუეტი, რომელშიც 11 სიმღერა შედის და უკვე ამის ალბომიც არსებობს. ვიმედოვნებ, რომ ყოველ ფესტივალზე უფრო და უფრო მაღალი დონე იქნება და ჩემნაირს და ბევრად უკეთესებსაც აღმოაჩენენ.

18 წლის ვარ და კონსერვატორიის ვოკალისტების ჯგუფში ყველაზე მცირეწლოვანი. ეს დიდი მიღწევაა და ყველანაირად ვცდილობ, მაქსიმალურად მცირე დროში მეტს და მაღალ შედეგებს მივაღწიო.

საესტრადო მიმართულებით რატომ არ წახვედი?

–ჩემს ხმას საოპერო ვოკალი მეტად უხდება,–ეს სპეციალისტების აზრია. თან, საესტრადო ჟანრი მეც არ მინდოდა, მჯერა, საკუთარი თავისა და ვოკალის აღმოჩენას ოპერაში მეტად შევძლებ.

ე.ი. სერიოზული მოლოდინი გაქვს?

–დიახ, იმედი მაქვს, რომ მივაღწევ ზუსტად იმ შედეგს, რაც მიზნად დავისახე. ამ ყველაფერში ხელისშემწყობი უამრავი ადამიანი მყავს, მადლობა მათ ამისთვის, რაც ჩემთვის უფლის საჩუქარია. ჩემი პედაგოგია უდიდესი მეცნიერი და საუკეთესო სპეციალისტი გულიკო კარიაული, მას ოპერის ბევრი ნიჭიერი ვოკალისტი აღუზრდია, მათ შორის, ნინო სურგულაძე...

ოპერას მიჰყვები, თუმცა ანსამბლ "რუსთავთან" დისკი ჩაწერე. რა არის ეს შენთვის?

–ეს ფოლკლორია, რაც წინაპარმა დაგვიტოვა, ჩემი წარსულია, სისხლის ყივილია, რაც მიყვარს და მსიამოვნებს, მაგრამ კლასიკა, პროფესიული წინსვლისთვის აუცილებელი რამ არის, რაშიც თავს კომფორტულად ვგრძნობ. თან, ხობის ფესტივალი ხომ ფოლკლორის პოპულარიზაციას ემსახურება, რადგან აქედან დაიწყო ჩემი წინსვლა, ეს ერთგვარი მადლიერების გამოხატვაც არის.

P.S. არსებობენ ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდებიან ხოლმე, ნინო ამ კატეგორიას განეკუთვნება. მის გვერდით ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, რომლებიც ახლა მის წარმატებულ მომავალზე სერიოზულად ზრუნავენ..

ლალი ფაცია.

კოალიცია „ქართული ოცნების“

2012 წლის 1 ოქტომბერს ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსული კოალიცია „ქართული ოცნება“ ცდილობს კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, ქართული საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ „ქართული ოცნების“ დაპირებები ეტაპობრივად სრულდება.

მიუხედავად ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისა, ჩვენი ხელისუფლება კვლავაც ყველაფერს გააკეთებს, რათა გაამართლოს მოსახლეობის იმედები და უფრო უკეთესი და წარმატებული იყოს მომდევნი წლები.

2012-2015 წლებში ხობის მუნიციპალიტეტში როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური განვითარებისა და სხვადასხვა ფონდებიდან დაახლოებით 12 მილიონ 445 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტებია განხორციელებული,

ასევე თვალსაჩინოა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მიღწეული წარმატებები, ხობის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სისტემების დაშრობილი ფართობი 26 129 ჰა-ს შეადგენს, აქედან 11 600 ჰა სფერული კვლებია, ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა უწყებამ შპს „საქართველოს მელიორაციამ“ მასშტაბური სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა და ადგილობრივ ფერმერებს ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალება მიეცათ.

ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულია სოციალური და ჯანდაცვის სფერო. ჩვენი მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების მუნიციპალური პროგრამით ბოლო წლებში განხორციელებულია 1396,488 ლარის სხვადასხვა სახის დახმარებები, რომელიც მიიღეს მრავალშვილიანთა, ობოლთა და ახალშობილთა ოჯახებმა, დიალეზზე მყოფმა ავადმყოფებმა, ასევე დაფინანსდა ავადმყოფთა საოპერაციო ხარჯები და უმწეო კატეგორიის მოსახლეობისთვის უფასო სასადილო ერთჯერადი კვებით.

საზოგადოებას, ინფორმირებულობის თვალსაზრისით, პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციას მუნიციპალიტეტში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ.

პრემიერ-მინისტრმა ხობში ახალი საწარმო–თხილის გადამამუშავებელი ქარხანა გახსნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან ოთარ დანელიასთან, სახელმწიფო რწმუნებულ–გუბერნატორ ლევან შონიასთან და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელ გოჩა ქაჯაიასთან ერთად თხილის ქარხანა მოინახულეს. ხობში შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსის“ მიერ დაფუძნებული ქარხანა 2013 წელს აშენდა და მასში 300 000 აშშ დოლარის მოცულობის ქართული ინვესტიცია განხორციელდა. წარმოების განვითარების მიზნით, ქარხანამ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში მოიპოვა 782 000 აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება. საწარმომ შეძლო შეესყიდა თანამედროვე, უახლესი მოსახალი და შესაფუთი მანქანა-დანადგარები, ძირითადი საჭირო, საწარმოო აღჭურვილობები და ნედლეული.

ქარხანაში იწარმოება თხილის გული, მოხალული თხილი, ბლანშირებული თხილი და აგრეთვე ინოვაციური თხილის პროდუქტი-მოხალული, დამარილებული თხილი ნაჭუჭით. ქარხანაში ამ ეტაპზე 25 ადამიანია დასაქმებული (პერსპექტივაში 70 ადამიანი დასაქმდება) და დღეში 4 ტონამდე თხილის გადამუშავებას განახორციელებს.

ქვესადგურ „ხორგას“ მშენებლობა დაიწყო

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-მ „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში, ქვეყნის ენერგეტიკისთვის მნიშვნელოვანი, ახალი 220/110 კვიანი ქვესადგურის „ხორგა“ მშენებლობის პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი „აზიის განვითარების ბანკის“ ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება დაახლოებით 12 მლნ ევროს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოებს ავსტრიული კომპანია SIMENS-ი აწარმოებს. ქვესადგურ „ხორგა“-ს მშენებლობა ქვეყნის ენერგეტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის უწყვეტ და საიმედო მიწოდებას, ფოთის ინდუსტრიული ზონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებისთვის დამატებითი სიმძლავრის უწყვეტ მიწოდებას, საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებას და საშუალებას მისცემს ქვეყანას განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში. პროექტის დასრულება 2016 წლის პირველ ნახევარში იგეგმება.

პრემიერ-მინისტრმა ხობში სასათბურე მეურნეობა დაათვალიერა

ხობში პრემიერ–მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სასათბურე მეურნეობა „თაღლაურას სათბური“ დაათვალიერა, რომელიც ნახევარ ჰექტარ ფართობზეა გაშენებული. სათბური აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სარწყავი სისტემით. საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 1 მილიონ ლარს შეადგენს.

სასათბურე მეურნეობის დათვალიერებას ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, სახელმწიფო რწმუნებული (გუბერნატორი) ლევან შონია, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტატი დეპუტატი გოდერძი ბუკია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

დაპირებები ეტაპობრივად სრულდება 2012-2015 წ.წ

პრემიერ-მინისტრმა ხობში ახალი საწარმოო გახსნა

ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სტუმრობდა. მან სახელმწიფო რწმუნებულთან-გუბერნატორ ლევან შონიასთან, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავასთან და მუნიციპალიტეტის გამგებელ გოჩა ქაჯაიასთან ერთად ხობში პლასტმასის და ბეტონის ფილების საწარმო გახსნა.

პროექტი პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა და ის ბიზნესმენის მალხაზ ბასილაიას ინიციატივით დაფუძნდა. მისი მშენებლობა 2 მილიონი ლარი დაჯდა. მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული იყო 50 ადგილობრივი მცხოვრები. საწარმოში ამჟამად 30 ადამიანია დასაქმებული. ქარხანაში იწარმოება პლასტმასის ყუთი, წებო-ცემენტი, სამშენებლო ბლოკი, ბეტონის დეკორატიული ფილა, ბეტონის დეკორატიული ღარები, ბლოკი და ბორდიურები.

შპს „ფიგარო“ უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე საწარმოს გახსნას გეგმავს.

5 კილომეტრიანი გზის მოასფალტება

ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს 5 კილომეტრიანი გზის მოასფალტება, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს ზუგდიდი-ნარაზენი, ძველი ხიბულა-ახალი ხიბულა-(ზუბის) მონაკვეთებს. გზასთან ერთად კეთდება 4 ახალი და რეაბილიტაცია უტარდება 3 ხიდ-ბოგირს, ამათგან ერთი არის 21მ ახალი ხიდი. პროექტს, რომლის ღირებულებაც 2 მილიონ 246 ათასი ლარს შეადგენს, შპს „არქეოპოლისი“ ასრულებს.

3 ოქტომბერს მიმდინარე სამუშაოები საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ეკა სეფაშვილმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ, სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა ლევან შონიამ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

განხორციელდა ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია

ქ. ხობში, რეგიონალური განვითარების ფონდიდან №2 საბავშვო ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, რომელიც სახელმწიფო რწმუნებულმა–გუბერნატორმა ლევან შონიამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. პროექტი, რომლის ღირებულებაც 311645 ლარია, ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ქართული სამშენებლო ჯგუფმა“ განახორციელა. ბაღის შენობა ამორტიზების გამო მოითხოვდა სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში შეიცვალა კარ-ფანჯრები, მოეწყო ახალი ელექტრო და საკანალიზაციო ქსელი, შიდა გათბობა, გარემონტდა ყველა ოთახი და სრულად გადაიხურა შენობა. №2 საბავშვო ბაღში 6 ჯგუფია. საბავშვო ბაღი გათვლილია 200 აღსაზრდელზე. აღსაზრდელთა რაოდენობა ამ ეტაპზე 163 შეადგენს.

სიმინდის ზეთის გადამამუშავებელი ქარხნის საძირკველი იკურთხა

15 ივლისს, ქ.ხობში სიმინდის ზეთისა და სიმინდის გადამამუშავებელი ქარხნების საძირკველი იკურთხა. მშენებლობის დაწყება, რომელიც მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ინიციატივით ხორციელდება, პირველი მაისის ყოვლადწმინდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა იაკობმა დალოცა. საძირკველის კურთხევას მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია და სამშენებლო კომპანია „ლომბადას“ დირექტორი ნუგზარ ლომაია ესწრებოდნენ.

სოფელი



მოლოდინი დიდია...

შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეული ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელთან ვალერიან (მალხაზ) ქაცარავასთან ერთად ცხოვრების ორომტრიალშია ჩაფლული. სოფლის წინამძღოლს წლების განმავლობაში უმუშავნია პარტიულ თუ სამეურნეო თანამდებობებზე. მას იცნობენ, როგორც კარგ ეკონომისტს, კარგ მეურვესა და ხელმძღვანელს.

უძღვებოდე და ზრუნავდე სოფლის კეთილდღეობაზე იოლი ნამდვილად არ არის. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, როგორც ხელისუფლების, ასევე თვით სოფლის მცხოვრებლებისა თუ საკუთარი თავის წინაშე. სოფლის მცხოვრებლები სწორედ თავკაცისგან მოითხოვენ იმ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებას, რომლებიც მათ წინაშე არსებობს. ხელმძღვანელი, რომელიც ყოველთვის ზრუნავს ხალხზე, ითავისებს სოფლის პრობლემებს, მათთან ერთად წყვეტს ყველა საკითხს, პატივისცემითა და ნდობით სარგებლობს და ისიც ყოველთივის მის გვერდითაა და ამით საერთო საქმეც კეთდება, პრობლემაც ადვილად გვარდება.

სოფელ შუა ხორგას ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 1890 ჰექტარი ფართობი უჭირავს აქედან 1114 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, დანარჩენი კი ტყესა და ბუჩქნარს უკავია.

სოფელში სამი წლის მანძილზე ბევრი ისეთი სამუშაო ჩატარდა, რაც ნამდვილად დაეტყო. 2013 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში შუა ხორგაში შესრულებული სამუშაოებისა და სახელმწიფოს მიერ მოსახლეობაზე დახმარების სახით ხვნა-თესვაზე გამოყოფილი თანხის რაოდენობამ 263,7 ათასი ლარი შეადგინა. ხალხის კმაყოფილება გამოიწვია სახელმწიფოს მიერ მოსახლეობაზე ხვნა-თესვის აგრობარათების დარიგებამ. სოფლის ხელმძღვანელის თხოვნით გაკეთდა (შპს „შარაგზამშენი-13“-ის მიერ) სოფლის ცენტრში თანამედროვე ტიპის ავტომოსაცდელის და საჯარო სკოლის წინ ბავშვების უსაფრთხოების მიზნით, ავტომანქანის ნელი სვლისთვის, ავტომაგისტრალზე ბარიერები და საგზაო ნიშნები.

არანაკლები იყო გასული წელი. ხალხის მოთხოვნით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარლგებში გამოყოფილი 38,5 ათასი ლარი გამოყენებულიქნა სოფელში არსებული მინი სტადიონის რეკონსტრუქციისთვის. სტადიონზე დაიგო ხელოვნური საფარი, რამაც უფრო დაამშვენა სოფლის ცენტრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი გოჩა ქაჯაიას ძალისხმევითა და თანადგომით სოფელში არსებული წყალსადენი შეუერთდა ფოთის მაგისტრალს, რითაც პრობლემა მოგვარდა და მთელი სოფელი მთლიანად უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბატონი ედიშერ ჯობავას უშუალო ინიციატივითა და მხარდაჭერით, ასევე სასმელი წყალი შეყვანილიქნა საბავშვო ბაღის ეზოში. არადა, წლების განმავლობაში, წყალს ბაღის მესვეურები ერთი კილომეტრის მოშორებით ჭაბურღილიდან ეზიდებოდნენ. ბაღში დამონტაჟდა წყლის გამაცხელებელი, რომელიც მზის ენერგიით თბება.

როგორც წინა წელს, შარშანაც მოსახლეობამ სახელმწიფოსგან მიიღო სახნავი ბარათები, რითაც 340 ჰექტარი მიწის ნაკვეთი დამუშავდა. ე.ი. სულ სოფლის მოსახლეობისთვის 180,0 ათასი ლარი დაიხარჯა. ამით თითქმის მოიხსნა წინა წლების პრობლემები.

სოფელში პრობლემებსა და გასაკეთებელ საქმეებს რა გამოლევს. მიმდინარე წელს გასულ ორ წელთან შედარებით, შუა ხორგაში უფრო მოცულობითი სამუშაოები ჩატარდა და წარმატებულადაც.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში სალატარიოს, საბერაიოსა და გამოღმა ყორათის ადრე მოასფალტებული გზები გადაიხნა, გაუკეთდა პლანირება და დაიტკეპნა, რაზედაც 38,5 ათასი ლარი დაიხარჯა. ევრაზიის ბანკის დაფინანსებით სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა წყალსადენ მილებს და შეიცვალა ახლით 10,5 კილომეტრის მანძილზე, რომლის ღირებულებამ 877 ათასი ლარი შეადგინა. ამოწმენდილიქნა სახელმწიფო არხები ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე 200 ჰექატრზე, მისი ღირებულება 60 ათასი ლარია.

წლეულს სახელმწიფომ მოსახლეობას, როგორც წინათ, ხვნა-თესვის კამპანიაში 340 ჰ ექტარი ფართობი დაამუშავებინა... მათ 47,6 ათასი ლარის ბარათები დაურიგა, რაც მთავარია, სოფელში დაიწყო ელექტროგამრიცხველიანების სამუშაოები, რაც ძალზე აქტუალური და მეტად აუცილებელი პროცესია.

–აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის ორნახევარი წლის მანძილზე, შუა ხორგაში ჩატარებული სამუშაოების შესასრულებლად სახელმწიფოს მიერ გაწეულიქნა 1.466.800 ლარის ხარჯები, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა წინა წლებთან შედარებით. შესრულებულ სამუშაოთა შეფასება კი მოსახლეობისთვის მიმინდვია,–აცხადებს საუბარში შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი.

ახალ სასწავლო წელს ახლებური ენთუზიაზმით შეეგებნენ შუა ხორგის საჯარო სკოლის (დირექტორი გულნარა ტაბაღუა) 219 მოსწავლე და 24 პედაგოგი, მათ შორის 5 პედაგოგი–სერთიფიცირებული მასწავლებელია: დიანა ბერაია, ნანი სალაყაია, როგნეტა ქარდავა, ზაირა ჩემია და ელისო გვასალია. სკოლას გააჩნია კომპიუტერული სწავლების ცენტრი (ბადრი კვიკვინია). სკოლას სასექტემბროდ ჩაუტარდა რემონტი. გამოიცვალა კარ-ფანჯრები (მეტალო პლასმასის) და შენობის შემოგარენს ესთეტიკური სახის სამუშაოებიც ჩაუტარდა, რამაც უფრო დაამშვენა სკოლის იერ-სახე. ე.ი. ახალი სურვილებითა და იმედებით შეუდგნენ სწავლას საჯარო სკოლაში. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სკოლის 8 კურსდამთავრებული მოეწყო სხვადასხვა უნივერსიტეტში, ამათგან 4 სტუდენტი სრული გრანტით აგრძელებს სწავლას და მეორე ოთხი კი–ნახევარი გრანტით.

უნდა ითქვას, რომ სკოლის პრობლემას წარმოადგენს სპორტული დარბაზის კეთილმოუწყობლობა. იქ, იატაკის უქონლობის გამო ზამთარში ჭირს სპორტის გაკვეთილების ჩატარება. იმედია, მასაც ეშველება, რითაც კიდევ ერთი მეტად საჭირო და აუცილებელი საქმეც მოგვარდება.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში ორი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. საბავშვო ბაღში, რომლის მთავარი სპეციალისტია ინეზა ესებუა, 33 აღსაზრდელი ირიცხება. ბაღს 8 თანამშრომელი ემსახურება. კვება, როგორც ყველა ბაღში, უფასოა და სამჯერადი. ყველა კერძი ხარისხიანად მზადდება. ამ ბაღის აღსაზრდელებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ედიშერ ჯობავამ საჩუქრად ელექტრონული პიანინო უსახსოვრა.

ყორათის უბანში ასევე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი (მთავარი სპეციალისტი ნინო ჯოჯუა). სადაც 12 აღსაზრდელია, როგორც იქ აღნიშნეს, ორივე ბაღს დიდ დახმარებას უწევს სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება (დირექტორი ელისო კვიკვინია).

–ბაღებს ერთი საერთო პრობლემა აქვთ–შენობები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სამწუხაროა, რომ შენობები, რომლებშიც საბავშვო ბაღებია განთავსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ არის და ამიტომაც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილ თანხებს ვერ ვიყენებთ პრობლემათა მოსაგვარებლად. სწორედ ეს პრობლემაა საჯარო სკოლის სპორტდარბაზშიც.–გვითხრა ბატონმა ვალერიან ქაცარავამ.

შუა ხორგას ჰყავს ექიმი (სოფიო მალანია) და მედდა (ელისო დოლბაია). სამედიცინო პუნქტი მუდამ მზადაა პაციენტების მისაღებად. ხალხი მათ მიმართ მადლიერებას გამოხატავენ. ფუნქციონირებს აფთიაქი (ფარმაცევტი თამარ ფიფია).

თითქმის ყველა პრობლემაზე, გაკეთებულ თუ გასაკეთებელ საქმეებზე ვისაუბრეთ სოფლის ხელმძღვანელთან.

–კიდევ რამეს ხომ არ გვეტყოდით თუ რა აკლია შუა ხორგას და რა აფერხებს, მშრომელ ადამიანს?–ვეკითხები ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს.

–სოფელში პრობლემები ჯერაც ბევრია, მაგრამ ერთ-ერთი პრობლემური საკითხთაგანია სკოლებში საკლასო ოთახები არ თბება. ასევე ჰიგიენის სახლის არ არსებობა, მაგრამ მჯერა, მთავრობის უფრო ეფექტური მუშაობითა და ღვთის წყალობით ყველაფერი მოგვარდება. მთავარია, მშრომელი ადამიანების ძალისხმევა და მეტი მონდომება, რომ ავაღორძინოთ შიდა მეურნეობები. აღნიშნავს სოფლის თავკაცი.

სოფელში მთავარი პრობლემა ელექტროგამრიცხველიანება გახლავთ, მაგრამ ეს პრობლემა უკვე დაიძრა. ყორათის უბანში ელექტროხაზის გაყვანა დასრულებულია, ამაში დიდია მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის როლი.

უმუშევრობა დღემდე მთელი ქვეყნის პრობლემაა. „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ჩართულმა შ.პ.ს. „კოლხეთი და კომპანიამ“ საფუძველი დაიდო შუა ხორგაში. კომპანიამ დიდი შრომა გასწია–მათ აღნიშნულ ტერიტორიაზე ელექტროსადენები გაიყვანეს და მალე გზასაც მიხედავენ. აქ მთელი ზაფხულის განმავლობაში მშენებლობაზე 20-30 ადამიანი იყო დასაქმებული. მუშაობა ახლაც ტემპიანად გრძელდება და ის მალე შევა ექსპლოატაციაში,–გვითხრა ბატონმა ვალერიან ქაცარავამ.

ძლიერი სოფელი ძლიერი საქართველოა. წლის ბოლომდე ჯერ კიდევ ბევრი დროა. სამუშაოები სულევი. შუა ხორგელები თავს კიდევ უფრო გამოიჩენენ და ტრადიციულად, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოლოდინით იშრომებენ შინ თუ გარეთ. მათ სჯერათ ხვალინდელი დღის. დოვლათი და წარმატება უბრძოლველად და უშრომელად არ იქნება.

დაველოდოთ!..

ნანი კილასონია.

ხვალინდელი დღის დიდი იმედი მაქვს...



კარგა ხანია გაზეთ „ხობის მოამბეში“ პერიოდულად ქვეყნდება ღირსეული თანამემამულეებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები. მკითხველებს მეტნაკლები სიზუსტით ვაცნობთ, იმ ღვაწლმოსილი ადამიანების შემოქმედებით საქმიანობას, ვინც ღვთისაგან მომადლებული ნიჭი და ენერგია უშურველად ჩააყენა საერთო სახალხო სამსახურში.

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი „გაენათის“ ლექტორი, პროფესიით ისტორიკოსი, „ძველი“ რედაქციელი ბატონი გიგლა კვიკვინია.

ბატონ გიგლას ბევრი იცნობს, მაგრამ კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით გავიხსენებთ კეთილსინდისიერ მოღვაწეს, ბევრი თაობის აღმზრდელს, საზოგადოებისთვის სასარგებლო და კეთილ საქმეზე გახარჯულ კარგ ქართველს, ჩინებულ მეგრელ კაცს, უღალატო მეგობარს, დიდებულ მეუღლეს, მოსიყვარულე მამას და ბაბუას, რომლის ცხოვრება მართლაც სიკეთისთვის, მოყვასისთვის და სიმართლისთვის ბრძოლაა.

რამდენიმე კითხვით მივმართე მას.

ბატონო გიგლა, გთხოვთ გაიხსენოთ რედაქციაში მუშაობის წლები?

–1975 წელს დავამთავრე ქ. სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დავიწყე პირველი ხორგის ალიო მირცხულავას სახელობის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, პარალელურად ხობის რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის მშენებელში“ ლიტერატურულ მუშაკად.

რედაქციაში გატარებული წლები ჩემთვის დაუვიწყარია, რადგან ისეთ ადამიანებთან მიწევდა მუშაობა, როგორებიც იყვნენ ბატონები: ვლადიმერ ქორთუა, სერაპიონ ცხადაია, ქალბატონი ნაირა ბუკია და სხვები.

ბატონო გიგლა, წლების განმავლობაში მუშაობდით სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და ბოლოს ისევ პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდით, რამ განაპირობა ეს?

–ოცდაოთხი წლის ვიყავი, როცა რაიონის იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ, თავის კაბინეტში დამიბარა და მითხრა: თქვენ უნდა წახვიდეთ ქარიატის საშუალო სკოლაში დირექტორადო. გულწრფელად გეტყვით, გამიხარდა, მაგრამ შემეშინდა იმ დიდი პასუხისმგებლობისა, რომელსაც სკოლის დირექტორობა ერქვა. მიუხედავად ამისა, დავთანხმდი და

11

ერთი ავტორის გვერდი

მასწავლემლად იმადემიან...

მასწავლებელი უბრალო მოკვდავი კი არა, ღვთაებრივბუნების მატარებელი პიროვნებაცაა... მასწავლებლობა პროფესია კი არა, ნიჭი, რომლითაც ყველა არ იბადება. მას დაფასება და საზოგადოების მხარში დგომა სჭირდება. სახელმწიფოს წარმატება და წარუმატებლობა განათლების ხარისხზეა დამოკიდებული. ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახიდან იწყება. ამიტომ მასწავლებლის როლი განუზომლად დიდია. ჭეშმარიტი მასწავლებელი ხიდია პატარა ანგელოზსა და წარმატებულ, ჩამოყალიბებულ პიროვნებებს შორის. ამიტომაც მასწავლებლად არ ხდებიან, მასწავლებლებად იბადებიან.

რთული და საპასუხისმგებლოა იყო დაწყებითი კლასის მასწავლებელი, მასწავლებელი, რომელიც არასდროს ავიწყდება ბავშვის მეხსიერებას, სწორედ მასთან ასოცირდება ყველაფერი პირველი, რაც კი მან სკოლაში ისწავლა.

ხობის №1 საჯარო სკოლის პირველკლასელებმა მასწავლებელ ლალი ჩიტაიასთან ერთად მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ლამაზი და მოკრძალებული ზეიმი მიუძღვნეს მასწავლებლებს... ბავშვებმა ძალიან მოკლე დროში შეძლეს შეესწავლათ ლექსები, სიმღერები, ცეკვები. ზეიმს მოწვეული სტუმრები და სკოლის დირექცია ესწრებოდა.

ზეიმის შემდეგ სურვილი გამიჩნდა გავსაუბრებოდი ამ ლამაზი გოგო-ბიჭების პირველ მასწავლებელს ქალბატონ ლალი ჩიტაის.

„მასწავლებელი, ო რამდენს იტევს, ღმერთო, ამ სიტყვის არსი და მადლი, მასწავლებელი ის არის, ვისაც, ყველაზე ძვირფასს დედიკოს ვადრი...“

ქალბატონო ლალი, მოდით, დავიწყოთ თავიდან, ვინ არის ლალი ჩიტაია?

–გავიზარდე პედაგოგის ოჯახში. დედა, დამსახურებული პედაგოგი შურა ალანია, დაწყებით კლასებს ასწავლიდა ბუნებრივია, ჩემი პედაგოგობაც უმეტესწილად დედის დამსახურებაა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობებზე ვმუშაობდი, მაგრამ სკოლა და ბავშვები არასდროს დამიტოვებია. უკვე 15 წელია ქ. ხობის №1 საჯარო სკოლაში ვასწავლი და ამ წლებმა სასიამოვნო განცდა დამიტოვეს. მუდამ ვგრძნობ ჩემი ყოფილი მოსწავლეების სიყვარულსა და პატივისცემას და ამით ბედნიერი ვარ...

სულ ცოტა ხანია რაც ამ ბავშვებს ჩაუდექით სათავეში, მცირე პერიოდში შეძელით ლამაზი ზეიმის მოწყობა....

–მასწავლებელთა დღე ყველა მასწავლებლისთვის ღირშესანიშნავი თარიღია, ეს დღე ჩვენს კლასშიც საზეიმოდ აღინიშნა. ჩვენ შევძელით მოვფერებოდით მასწავლებლებს, ვაჩვენეთ მათ ჩვენი შესაძლებლობები. ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არაა. მე მინდა მოვეფერო სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლებს, რომელთაც ლომის წილი უდევთ მათ აღზრდაში.

ვიცი, რომ მასწავლებელს ქვეყნის ხვალინდელი დღე- ბავშვის ბედ-იღბალი აბარია, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა ჩემი მოსწავლეები იყვნენ განათლებულები, წარმატებულები; აღიზარდონ ადამიანის სიყვარულით, ჰუმანიზმით, კაცთმოყვარეობით, პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის გრძნობით.

რა არის თქვენთვის იყოთ მასწავლებელი?

–ახალი სასწავლო წლის დაწყება ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებულია.. ვღელავ, განვიცდი, მიხარია...

ალბათ ამაშია პედაგოგის პროფესიის ხიბლი, რომლის ამოსავალ წერტილს და ძირითად საფუძველს შეადგენს მომავალი თაობის სიყვარული.

ჩემთვის პედაგოგობა არის ჩემი ცხოვრება, პროფესიული მოვალეობის მაღალი შეგნება. მიმიხარია სკოლისკენ და მავიწყდება ყოველდღიური პრობლემები...

არ გიჭირთ ასეთ „პაწაწკუნტელებთან“ მუშაობა?

–მაღალ პასუხისმგებლობას მაკისრებს ის ფაქტი, რომ ვარ პირველი კლასის მასწავლებელი. არა, არ მიჭირს. ისინი საუკეთესოები, საყვარლები, მიზანდასახულები არიან, ყველა ცდილობს მასწავლებლის წინ წარმოჩინდეს თავისი დადებითი მხარეებით. მათი თვალები, ჩემსკენ სიყვარულით და ინტერესით მომზირალნი, უფლებას არ მაძლევს მოვდუნდე, ვუღალატო მათ. ჩემი მიზანია, აღვზარდო და ვასწავლო. როგორც დიდი ილია ამბობდა: „წვრთნა და სწავლა ხელიხელ გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“.

ქალბატონო ლალი, კიდევ ერთხელ გილოცავთ მასწავლებლის დღეს, წარმატებებს გისურვებთ. გმადლობთ ასეთი თბილი ღონისძიებისთვის.

ისანავლეთ მეჯი მომავლის საკეთილდღეოდ...

ბაქსვუდის სკოლის ბაზაზე უკვე მეოთხე წელია, ყოველ ზაფხულს, ინგლისურენოვანი საზაფხულო სკოლაში ფუნქციონირებს. ეს გახლავთ ორკვირიანი და სამკვირიანი ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა, რომელშიც იდეალურად არის შერწყმული ბრიტანული და ქართული ტრადიციები.

საზაფხულო სკოლა საუკეთესო საშუალებაა საკუთარი თავის გამოსავლენად და დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების შესაძენად.

,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“ მიერ ორგანიზებული საზაფხულო სკოლა, ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეებს ამ ბანაკში მოხვედრის საშუალებას აძლევს.

საერთაშორისო სკოლის ბაზაზე მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა ვაჟა- ფშაველას კონკურსში გამარჯვებული, სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის 16 მოსწავლე (2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით)ამ მოსწავლეებისთვის განხორციელდა 3 კვირიანი ინტენსიური (არანაკლებ 20 საათი კვირაში) ინგლისური ენის საზაფხულო კურსი.

საზაფხულო სკოლის მონაწილეებიდან შეირჩა 36 (12 მოსწავლე–თითო ნაკადიდან) საუკეთესო მოსწავლე, რომლებიც 3 ნაკადად გაემგზავრებიან დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში...

გავიცანი მოსწავლეები, რომლებიც ბანაკში იმყოფებოდნენ. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ იქ გატარებულ დღეებზე, მოყოლას არ აცლიდნენ ერთმანეთს. როგორც ბავშვებმა ჩემთან საუბარში აღნიშნეს, ბაქსვუდმა მათ სტიმული მისცა უკეთ ისწავლონ, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ოლიმპიადებში, მოიპოვონ წარმატება, რათა კვლავ შეძლონ ბაქსვუდის სკოლაში მოხვედრა.

იქ გატარებულ დღეებზე კი უფრო დაწვრილებით გვესაუბრება ხობის №1 საჯარო სკოლის 11-ე კლასის მოსწავლე მარიამ ლომაია.

მარიამ, როგორ მოხვდით ბაქსვუდის საზაფხულო სკოლაში?

–საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, სასკოლო თეატრალური ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლები დადგეს. ჩვენმა სკოლამ სპექტაკლი“ „სტუმარ მასპინძელი“ დადგა. სპექტაკლის დადგმაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ მარინა ჯღარკავას, ასევე ენთუზიზმითა და მონდომებით იყო ჩართული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. სპექტაკლმა ათ საუკეთესოში II ადგილი აგვაღებინა. კომისიამ სამი გამარჯვებული სპექტაკლი გამოავლინა, რომელთა ჩვენებაც, მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ღონისძიების დასასრულს გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებითა და სიგელებით. ერთი თვის შემდეგ დაგვირეკეს სამინისტროდან და გვაცნობეს, რომ ვიყავით მიწვეულები ბაქსვუდის ინგლისური ენის სკოლაში.

იქ გატარებულ დღეებზე რას მეტყვით?

–ბანაკში სწავლება, ღონისძიებები, ყველაფერი ინგლისურ ენაზე ტარდებოდა. ინგლისურ გაკვეთილებს ძირითად ქართველ მასწავლებლებთან ერთად ბრიტანელი მასწავლებლებიც გვიტარებდნენ, ჩვენ ძირითადად ბრიტანულ ინგლისურს ვსწავლობდით. ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, იმართებოდა სპექტაკლები, სპორტული შეჯიბრებები.

იმართებოდა პრეზენტაციები ამა თუ იმ თემის გარშემო, ეს ჩვენთვის, იქ მყოფთათვის დიდი სტიმული იყო. მეც მივიღე მონაწილეობა ერთ-ერთი თემის პრეზენტაციაში, წარვადგინე თემა აბორტთან დაკავშირებით, ეს თემა ძალიან მოეწონა მასწავლებელს და კონფერენციაზე გავიტანეთ, სადაც მასწავლებელიც იღებდა მონაწილეობას. თემის წაკითხვის დროს ძალიან ვღელავდი, მაგრამ ამავე დროს დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი მასწავლებლის მხრიდან. ჩემს მიერ წარმოდგენილი თემა ბრიტანელ მასწავლებელს ძალიან მოეწონა. თავი კი მათ იმითი დავამახსოვრე, რომ თემის დასაბუთების ნაწილში, თუ რატომ ავირჩიე ეს თემა, არგუმენტად ჩემი ოჯახი დავასახელე, ვუთხარი, რომ მყავდა ექვსი და და ერთი ძმა და ეს დიდი ბედნიერებაა... ამან ასე ვთქვათ, ფურორი მოახდინა. ყველა აქტივობებში ვღებულობდი მონაწილეობას.

როცა ბაქსვუდის ინგლისურ სკოლაში მივდიოდი, მქონდა ერთგვარი შიში, შიში იმისა, დავძლევდი თუ არა იქაურ პროგრამას. სკოლაში ყოფნამ სტიმული მომცა ვისწავლო უკეთ ინგლისური ენა, და არა მხოლოდ ინგლისური, მინდა, რომ მეტს მივაღაწიო, მაქვს დიდი სურვილი კვლავაც მოვხვდე ამ სკოლაში. ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო დიდ ბრიტანეთში მოხვედრა და ამ ოცნების ახდენა მსურს. არა მარტო მე, ჩემს თანატოლებსაც, ვინც იმყოფებოდა ამ ბანაკში, სტიმული მიეცათ უკეთ სწავლისა, ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი წარმატებული პროექტია....

რას ურჩევდი შენს თანატოლებს?

–ვურჩევ, რომ უფრო მეტი მოინდომონ, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ, სასკოლო ოლიმპიადებში, ისწავლონ ბევრი თავიანთი და ქვეყნის მომავლის საკეთილდღეოდ.

ნინო გერგაია

მზე ხელისგულზე

ასტროფიზიკოს მიხეილ ალანიას „კოსმიური თავგადასავალი“

მრავალი ქართველი მეცნიერი წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთის ქვეყნებში. დიდი წარმატებით მოღვაწე მკვლევართა შორისაა პოლონეთში მოღვაწე გეოფიზიკოსი, ასტროფიზიკოსი, კოსმოსური სხივების ფიზიკის მკვლევარი, პროფესორი მიხეილ ალანია.



მიხეილ ვიქტორის ძე ალანია დაიბადა 1935 წლის 30 აპრილს ხობის რაიონის, სოფელ შუა ქვალონში, 1953 წელს საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების განყოფილებაში.

კოსმოსური სხივები აღმოაჩინეს 1912 წელს. საქართველოში კი კოსმოსური სხივების ბუნების შესასწავლად ფართო მასშტაბიანი კვლევები დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ამ დროისთვის უკვე შესწავლილი იყო კოსმოსური სხივების მთელი რიგი თვისებები. მეოცე საუკუნის 50-60 წლებში ცნობილი გახდა, რომ მზე აფრქვევს დამუხტული ნაწილაკების. (ძირითადად პროტონებისა და ელექტრონების) დიდ ნაკადებს, რომლებიც ვრცელდება პლანეტთაშორის სივრცეში. ისინი „მზის ქარის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მზეზე უწყვეტად მიმდინარეობს ელექტრომაგნიტური პროცესების თითქმის პერიოდული (დღე-ღამური, 27-დღიანი, 11-წლიანი და 22-წლიანი) და არაპერიოდული ცვლილებები.

გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების ლაბორატორიის (ხელმძღვანელი ვ. ქოიავა) მეცნიერული პრობლემა იყო კოსმოსური სხივების ანიზოტროპიისა და სხვადასხვა კლასის ვარიაციების გამოკვლევის საფუძველზე მზეზე მიმდინარე პროცესებისა და დედამიწის ახლო კოსმოსური სივრცის ელექტრომაგნიტური მდგომარეობის შესწავლა. 1967 წელს მ. ალანიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მ. ალანია 1969 წელს აირჩიეს გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების განყოფილების გამგედ. კოსმოსური სხივების განყოფილებაში ექსპერიმენტული სამუშაოების განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო 1969-1971 წლებიდან, როდესაც მ. ალანიამ შეიმუშავა ორიგინალური კონსტრუქციის ჯვარედინი ტელესკოპი კოსმოსური სხივების მეზონურ კომპონენტებზე დაკვირვებებისათვის მიწისზედა და მიწისქვეშა დონეებზე. შემოთავაზებული იდეის საფუძველზე მ. ალანიას ხელმძღვანელობით კოსმოსური სხივების ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ 1972-1975 წლებში შეიქმნა და ამუშავდა ახალი კონსტრუქციის მიწისზედა (ტ-12) და მიწისქვეშა (ტ-16) ჯვარედინა ტელესკოპები, ასევე, მისი ხელმძღვანელობით კოსმოსური სხივების ლაბორატორიის ახალგაზრდა თანამშრომელთა მიერ 1976-1978 წლებში შეიქმნა მრავალარხიანი კომპლექსური მოწყობილობა მონაცემთა პირველადი დამუშავებისა და ოპტიმიზაციისათვის, რისთვისაც მისმა ავტორებმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური პრემია დაიმსახურეს (1982 წ.).

ექსპერიმენტულ მონაცემებსა და თეორიულ-მოდელურ ანალიზზე დაყრდნობით მოსკოველმა პროფესორმა ლ. დორმანმა და მ. ალანიამ განავითარეს წარმოდგენა მზის ქარის ჰელიოგანედური ასიმეტრიისა და მასთან დაკავშირებული კოსმოსური სხივების ვარიაციების შესახებ. მ. ალანიამ და მისმა ასპირანტებმა ნეიტრონული მონიტორების ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით და თეორიული გათვლების საფუძველზე აჩვენეს, რომ არსებობს კოსმუსური სხივების ანიზოტროპიის სრულიად ახალი ტიპის კვაზიპერიოდული ვარიაციები (მათ შორის (27-დღიანი), რომლებიც დაკავშირებულია კოსმოსური სხივების ნაწილაკების პლანეტათაშორისი მაგნიტური ველის სექტორულ სტრუქტურებში მოძრაობასთან. მზის ქარისა და კოსმოსური სხივების პლანეტთა შორის სივრცეში გავრცელების არსებული თეორიები, აგებული ჰელიოსფეროს მაგნიტური ველის ორგანზომილები ან მოდელზე, მზის მაგნიტური ველის ჰელიოგანედური კომპონენტის არსებობას არ ითვალიწინებდა. ჰელიოსფეროში კოსმოსური სხივების გავრცელების უფრო სრულმოფილად აღსაწერად მ. ალანიას მიერ 1978–1980 წლებში შემოთავაზებული იყო ახალი მათემატიკური მოდელი–ანიზოტროპული დიფუზიის განზოგადებული ტენზორი პლანეტთაშორისი სივრცის სამგანზომილებიანი რეგულარული მაგნიტური ველის მოდელისათვის.

ნაჩვენები იყო, რომ სამგანზომილებიანი მაგნიტური ველის გათვალისწინება იძლევა კოსმოსური სხივების ინტენსივობის უფრო ინტენსიურ მოსალოდნელ ცვლილებას, განსაკუთრებით მზის აქტივობის მინიმუმის ეპოქისათვის.

ასევე, მ. ალანიამ აჩვენა, რომ კოსმოსური სხივების ინტენსივობის ცვლილება, გამოწვეული რეგულარული მაგნიტური ველის სიმრუდით და გრადიენტით გაითვალისწინება დიფუზიის ტენზორის ანტისიმეტრიულ ნაწილში პლანეტთაშორისი სივრცის სამგანზომილებიანი რეგულარული მაგნიტური ველის შემთხვევაშიც. ნაჩვენებია, რომ მზის 11-წლიანი აქტივობის ლუწ ციკლებში კოსმოსური სხივების განედური და რადიალური ნაკადები დრეიფის გამო მიმართულია ისე, რომ იწვევენ კოსმოსური სხივების სიმკვრივის ზრდას და რადიალური გრადიენტის შემცირებას, ხოლო კენტ ციკლებში შებრუნებული სიტუაცია გვაქვს. ზემოთ ხსენებული კვლევები და სხვა მეცნიერული შედეგები, დაკავშირებული კოსმოსური სხივების ვარიაციების თეორიულ, ექსპერიმენტულ, მოდელურ და მეთოდურ კვლევასთან დაედო საფუძვლად მ. ალანიას სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მაღალ დონეზე იყო შეფასებული საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ფიზიკური კვლევის ინსტიტუტში და წარმატებით დაიცვა 1982 წლის იანვარში უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში. კოსმოფიზიკურ მეცნიერებაში და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებაში მიღწევებისათვის საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1988 წელს მ. ალანიას პროფესორის წოდება მიანიჭა.

1990-იანი წლების დასაწყისის კატაკლიზმებმა ხელი შეუშალა კოსმოსური სხივების კვლევებს. 1993-წელს მიხეილ ალანია მიწვევით გადადის პოლონეთში და იწყებს მუშაობას ქ. სიედლცეს უნივერსიტეტის მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტში. იგი იყო ფიზიკის კათედრის გამგე 1994-2014 წლებში. 2014 წლიდან დღემდე კი არის ფიზიკის და რიცხვითი მეთოდებით ანალიზის განყოფილების გამგე. აღსანიშნავია, რომ პროფესორი მ. ალანია სამი აკადემიური ვადით 1995-2005 წლებში იყო არჩეული მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად და სიედლცეს უნივერსიტეტის სენატის წევრად. მან ჩამოაყალიბა ახალგაზრდა მკლევართა ჯგუფი, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით შეასრულა მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევები კოსმოსური სხივების მოკლე და გრძელვადიანი ვარიაციებისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მზის აქტივობის, ჰელიომაგნიტური ველის, მზის ქარის, პლანეტთაშორისი სივრცის, დედამიწისპირა ჰელიოსფეროს პარამეტრების შეფასებაში, კოსმოსური სხივების გავრცელების „და“-განზომილებიანი სტაციონარული და არასტაციონარული მათემატიკური მოდელების შექმნასა და განვითარებაში ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზისა და თეორიულ-მათემატიკური მოდელირების საფუძველზე მან და მისმა ჯგუფმა დაადგინეს, რომ მზის 11-წლიანი აქტივობის მაქსიმუმიდან მინიმუმში გადასვლისას პლანეტთაშორისი მაგნიტური ველის ტურბულენტობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები წარმოადგენს კოსმოსური სხივების გრძელპერიოდიანი ცვლილებების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს, ხოლო კოსმოსური სხივების ვარიაციების სიხისტის სპექტრის მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ეფექტური პარამეტრი კოსმოსური სხივების ტრანსპორტის კომპიუტერული მოდელირების შედეგებისა და ექსპერიმენტული მონაცემების შესადარებლად.

გარდა კოსმოსური სხივების ასტროფიზიკისა, მზის აქტივობისა და მზის ქარის და მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკის კვლევისას შესამჩნევია მ. ალანიას დაინტერესება სხვა მიმართულებითაც. პროფესორ მ. ალანიას მიერ შემუშავებული მათემატიკური მეთოდის საფუძველზე, პროფესორ მ. ალანიასა და მის ჯგუფს პოლონეთში მიღებული აქვს სხვა საინტერესო შედეგებიც, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელობის აქტუალური პრობლემის–კოსმოსური ამინდისა და დედამიწაზე კლიმატის ცვლილებების შესწავლაში. მისი ინიციატივით ქართველ მეცნიერთა თანაავტორობით გამოკვლეული და შეფასებულია დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურის ცვლილების საუკუნოვანი ტენდენცია წელიწადის სხვადასხვა სეზონისათვის თბილისის მონაცემებზე დაყრდნობით და ნაჩვენებია მტკიცე კავშირი მსოფლიო გლობალური ტემპერატურის ცვლილების ტენდენციასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ მ. ალანიასა და მის ჯგუფს პოლონეთში ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და დაახლობით ამდენივე სხვა რეფერირებულ გამოცემებში და საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების კრებულებში. პროფ. მ. ალანიას ავტორობითა და თანაავტორობით გამოაქვეყნებულია 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომა და სამი მონოგრაფია კოსმოსური სხივების, კოსმოფიზიკისა და მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკის და გეოფიზიკის დარგში ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ძირითადად უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში. მ. ალანიამ მონაწილეობა მიიღო არაერთ საერთაშორისო კონგრესებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაც მოხსენებული აქვს თავისი ორიგინალური მეცნიერული შედეგები.

მ. ალანია დიდ ყურადღებას აქცევს მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. მან მოამზადა რამდენიმე ათეული მაგისტრი მათემატიკურ და ფიზიკურ სტატისტიკაში, ფინანსურ მათემატიკაში, კოსმოსური სხივების ასტროფიზიკაში და სხვა. მას მომზადებული ჰყავს 13 მეცნიერებათა კანდიდატი, მათ შორის 9 საქართველოში, 4 კი პოლონეთში. ამავე დროს ის გახლდათ, რამდენიმე სადოქტორო დისერტაციის მეცნიერული კონსულტანტი. დღესდღეობით მისი კონსულტაციებით დასაცავად გამზადებულია 4 სადოქტორო დისერტაცია.

პროფ. მ. ალანია იყო საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კოსმოსური სხივების საპრობლემო საბჭოს წევრი (1970-2002 წწ) საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მზე-დედამიწის კავშირების საპრობლემო საბჭოს წევრი (1980-2002 წწ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკის საპრობლემო საბჭოს თავმჯდომარე (1982-1996 წწ) საქართველოს მეცნიერებათა აკა-

11

8

ხვალინდელი დღის დიდი იმედი მაქვს...

ასე გავხდი რესპუბლიკაში სკოლის ყველაზე ახალგაზრდა დირექტორი. სხვადასხვა წლებში ვიყავი ქარიატის საშუალო სკოლის დირქტორი, პირველი მაისის №1 და №2, ხამისქურის საშუალო სკოლის დირექტორი, ხობის სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე, საქართველოს კპ. ხობის რაიონის პარტიული კაბინეტის გამგე, პირველი მაისის საკრებულოს თავმჯდომარე.

1998 წლიდან 2002 წლამდე რაიონის საკრებულოს მდივანი და სულმნათ ბატონ თემურ სალაყაიას გარდაცვალების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ბოლო წლებში ისევ დავუბრუნდი ჩემს საყვარელ საქმეს. ვმუშაობ ზუგდიდში სასწავლო უნივერსიტეტ „გაენათში“, სადაც ახალგაზრდებს ვუკითხავ ქართველი ერის ისტორიას. ამ უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს გამოჩენილი მამულიშვილი, ნაღდი კოლხელი, პროფესიით ისტორიკოსი ბატონი რობერტ ბოკუჩავა, ჩემთან ერთად მუშაობს ჩემი თანასოფლელი უდიდესი მათემატიკოსი, ნამდვილად ასე შემიძლია ვთქვა, ბატონი რევაზ ბუკია, რითაც ვამაყობ (მისი სახით სულ მალე ხობს კიდევ ერთი მეცნიერ-დოქტორი შეემატება).

ბატონო გიგლა, სიტყვამ მოიტანა და თქვენ თანასოფლელი ახსენეთ, რას იტყოდით ბატონ გოდერძი ბუკიაზე? ისიც ხომ თქვენი სოფლიდანაა?

–რა გასაკვირია ჩემი სოფლის წიაღში ამოზრდილი ბალახი და ქვაც კი უზომოდ მიყვარს, რომ არაფერი ვთქვა საყოველთაოდ პატივსაცემ და საყვარელ ადამიანებზე, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბატონ გოდერძი ბუკიას ღვაწლი. მისი შეფასება ძალიან ადვილია, რადგან ამაზე მის მიერ გაკეთებული საქმეები ღაღადებენ. ამ უდიდესი ერისკაცის, ჭეშმარიტი მამულიშვილის და თავის ერზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის გაკეთებულ საქმეებს შორის ერთიც საკმარისია, რომ მას სიცოცხლეშივე ძეგლი აუგონ. მის მიერ სოფელ პირველ მაისში აგებული სამონასტრო კომპლექსი სამეგრელოსთვის ისეთია, როგორც ჩვენი ძირძველი მიწისთვის, აფხაზეთისთვის –„ილორი“.

ბატონი გოდერძი ჩემი ბავშვობის მეგობარია. ერთი სკოლა გვაქვს დამთავრებული და ჩემი სიყრმის მეგობრის, ცნობილი ჟურნალისტის გოგი ბუკიას ძმაა, ჩემი სათაყვანებელი მასწავლებლის ქალბატონ ელეონორას შვილია. ღირსეული პედაგოგის, რომელმაც ასეულობით ახალგაზრდა აღზარდა. თუ რამე არის ჩემში კარგი, ეს მისი დამსახურებაა, თავს ვხრი მისი ხსოვნის წინაშე. კარგი ადამიანები არ კვდებიან, ისინი მარადისობაში ინაცვლებენ. მხოლოდ ბოლოს რა მინდა ვთქვა ბატონ გოდერძიზე უფალს შევთხოვ, რომ ასეთი ქართველები უმრავლოს საქართველოს.

ბატონო გიგლა სოხუმის დაცემის დღეს, თქვენ როგორც ისტორიკოსი, როგორ გაიხსენებთ?

–აფხაზეთი და სამაჩაბლოს დაკარგვით მიყენებული ჭრილობები დღემდე ჯერ კიდევ არ არის მოშუშებული. იმ დროს საქართველოს მთავრობის მიერ არასერიოზულმა პოლიტიკამ სანამდე მიგვიყვანა კარგად ვიცით, მაგრამ ხვალინდელი დღის იმედი მაქვს. მენატრება ჩემი სოხუმი, სიყმაწვილის წლები იქ გავატარე. მენატრება ჩემი აფხაზი მეგობრები, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იქნება, მჯერა და მწამს, საქართველო, როგორც ღვთისწილხვედრი ქვეყანა, გამთლიანდება.

ქართველები საოცარი ხალხი ვართ, ჩვენ გვაერთიანებდა მუდამ სამი რამ: „ენა, მამული, სარწმუნოება“, რომ არა ეს, ქართველი ერი აქამდე ვერ მოვიდოდა, გადაშენდებოდა.

და ბოლოს, როგორ შეაფასებდით 2012–2015 წლებში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების საქმიანობას?

–ნათქვამია, ერთ დღეში ქალაქი არ აშენებულაო, ამის არ იყოს, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, და შემდგომ მთავრობამ რაც გააკეთა, ამის დაუნახაობა, სიბეცე იქნებოდა.

ერთი წელი გლეხი მიწას უფასოდ, ხოლო მეორე და მესამე წელს კი სახელმწიფოს დახმარებით ამუშავებს. მოსწავლეებისთვის წიგნები უფასოა, სამედიცინო–საყოველთაო დაზღვევით ადამიანს არ ეშინია, რომ ოპერაციას უსახსრობის გამო ვერ გაიკეთოს. ნაწილობრივ აღსდგა სამართლიანობა, შედარებით დაცულია ადამიანთა უფლებები ეს ცოტა რამე არ არის. ყველაფერი იდეალურად ვერ იქნება, მაგრამ ამ მოკლე დროში რაც გაკეთდა, მისასალმებელია.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების საქმიანობაც, წყალგაყვანილობა, გამრიცხველიანება, გზების მოწესრიგება, სკოლამდელი საალმზრდელო დაწესებულებების გარემონტება და ბევრი სხვა. მესმის და ვხედავ გაკეთებულს, გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

იმედია ყველაფერი კარგად იქნება.

დიდი მადლობა.

ესაუბრა ნაირა ბერაია.

10

მეცნიერის კვალი დროში

მზე ხელისგულზე

დემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი (1975-2002წწ) იგი პოლონეთის ასტროფიზიკური ნაწილაკების ქსელის წევრია 2007 წლიდან და კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კომისიის (COSPAR) ასოცირებული წევრი)“ 1993 წლიდან. ის შეყვანილია ოქსფორდის „Who is who-“-ს რამდენიმე გამოცემაში, როგორც წარმატებული და აღიარებული მეცნიერი.

საქართველოში მუშაობის დროს მან მიიღო, რამდენიმე ჯილდო, მათ შორის საქართველოს უმაღლესი საბჭოს სიგელი გეოფიზიკის ინსტიტუტის წინაშე დამსახურებისთვის, მთავრობის ჯილდო მეცნიერული და ორგანიზაციული მიღწევებისთვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო მეცნიერული მიღწევებისათვის და სხვა. დიდია პროფ. მიხეილ ალანიას ღვაწლი პოლონეთის კოსმოფიზიკის სკოლის განვითარებაში. 2001 წელს მან მიიღო მედალი სიედლცეს უნივერსიტეტის წინაშე დამსახურებისათვის. 2004 წელს პოლონეთის სპორტისა და განათლების მინისტრის მედალი ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლებისთვის. 2009 წელს კი მ. ალანიამ პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკისაგან მიიღო ოქროს მედალი პოლონეთში ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

პროფ. მიხეილ ალანია არჩეულია ევროპის მეცნიერებათა აკადემიის (EURASC) წევრად 2005 წელს. „2013-2015 წლებში, როგორც უცხოეთში წარმატებული მოღვაწე ის იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ხელმძღვანელი, რომლის მთავარი მონაწილე და შემსრულებელი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტროფიზიკოს მეცნიერთა ჯგუფი პროფესორ გოდერძი დიდებულიძის ხელმძღვანელობით. ასევე, პროფესორი მიხეილ ალანია წარმატებით თანამშრომლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან.

2002 წლიდან ის პოლონეთის მოქალაქე გახდა, ხოლო 2005 წლიდან საქართველოს და პოლონეთის მოქალაქეა.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად, 2015-2016 წლებში, პროფესორი მიხეილ ალანია იმყოფება ერთწლიან სამეცნიერო შვებულებაში და ამ პერიოდის განმავლობაში მას გადაწყვეტილი აქვს აქტიური მეცნიერული თანამშრომლობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებთან.

2015 წლის აპრილში ქ. სიედლცეს (პოლონეთი) უნივერსიტეტის მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტის მეგობრებმა და კოლეგებმა 80 წლის იუბილე გადაუხადეს ღვაწლმოსილ მეცნიერს, პროფესორ მიხეილ ალანიას. ჩვენც ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ჯანმრთელობა ხანგრძლივი სიცოცხლე და კვლავაც მისთვის ჩვეული ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა.

თამარა ზახარუკი, *სიედლცეს (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორი, ჰაბილიტებული დოქტორი, პროფესორი:*

ალექსი ტრეტიაკოვი, *სიედლცეს (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;*

ნუგზარ ლლონტი, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიური დოქტორი;:*

რაფიელ ჩიქოვანი, *საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი;*

დევი ღარიბაშვილი, *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.*

ხსოვნა

ლევან ბუკია

ძნელია ვისაუბრო ჩემი შვილის ტოლ ვაჟკაცზე, რომელიც ჩემს თვალწინ გაიზარდა და დავაჟკაცდა, ჭკვიანი, თავაზიანი, თანატოლებისგან გამორჩეული, უბადლო ნიჭით დაჯილდოებული, სიკეთით, სიყვარულით სავსე ბიჭი. მე მისი სკოლის დირექტორი ვიყავი. ყოველდღიურად ვაკვირდებოდი მას და ვფიქრობდი, ეს კარგი ახალგაზრდა და მომავალი საქართველოს სიამაყე იქნება მეთქი. სხარტი, აქტიური, მებრძოლი და მეგობრული, სამართლიანი და ერთგული, მეგობრების დაცვა და მზრუნველობა მისი სტიქია იყო.

ასეთი არაჩვეულებრივი თვისებებით შემკული ბიჭი რა უცებ იმსხვერპლა ბედისწერამ, როგორ უყვარდა არა მარტო დედ-მამა და ახლობლები, არამედ მასზე დიდად უფროსი მეგობრები.არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი ლევან ბუკიას ცხოვრებიდან. იმ პერიოდში მას სწავლა ახალდამთავრებული ჰქონდა, მე ჩემს მეგობრებთან ერთად „კაფეში“ ვიჯექით, უცებ ლევანი შემოვიდა, მოგვესალმა თავისი ლამაზი და ღიმილიანი თვალებით და როგორც „კოლხებს“ ჩვევიათ, სუფრაზე 5 ბოთლი ღვინო შეამოაგზავნა, ამან ჩვენში დიდი სიხარული გამოიწვია, დავუძახე და სამი ჭიქა ღვინოც დავალევინე, თან ვუთხარი ყოველთვის იცოდე:“ვისი გორისა ხარ“ ღმერთმა უმრავლოს საქართველოს შენისთანა ნაღდი ქართველი და პატიოსანი ბიჭი–მეთქი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სწავლობდა, წარჩინებით დაამთავრა... მაგრამ ვაი ასეთ დამთავრებას, დიპლომის აღება ვეღარ მოასწრო... არ მინდა გავიხსენო ის უბედური დღე ჩემთვის ტკივილის, სევდის და მწუხარების მეტი ვერაფერი მოაქვს.რა უნდა, მეთქვა ვაჟასთვის მარტო მისი შვილი კი არა მისი შვილის მეგობარი დიტოც დაიღუპა. მეხის გავარდნას გავდა ლევან, შვილო, შენი სიკვდილი, დიპლომი კი გამოგიგზავნა შენმა რექტორმა ბატონმა რამაზ ხუროძემ, მაგრამ...

უკვე მეთხუთმეტე წელია ჩვენი სკოლის ქუჩა არ გაგივლია, შენს თანატოლებთან ერთად ბურთი არ გითამაშნია.

16 ოქტომბერს, დაბადების დღე საფლავზე მოგილოცეთ. იქ ბევრი შენი მეგობარი და ახლობელი იყო.

განისვენე მშვიდად ჩემო ვაჟკაცო...

გიგლა კვიკვინია

მეუღლე ლუარა, შვილები: ლამზირა, შადიმან ჭილაიები, შვილიშვილები: ირაკლი თოდუა, კოკა და ცოტნე ჭილაიები. რძალი ემა ბოხუა. სიძე ელგუჯა თოდუა. დები: როლიდა, ლუარა. ძმები ვილენი, ლავრენტი, გურგენი ჯობავები ოჯახებით. ცოლისდა ციალა. მძახლები: ნანული და ვაჟა თოდუები, გული და რეზო ბოხუები. ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლერი ჭილაია

დაკრძალვა შაბათს, 24 ოქტომბერს, ხობის რაიონი, სოფელი ახალი ხიბულა.

გემადლიერებით!

(ბატონ ნუგზარ ნადარაიას)

ბატონო ნუგზარ!

უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით მოგიკითხავთ და გულწრფელ მადლობას გწირავთ საჩუქრისთვის, რომელიც თქვენ „ცოტნეობის" დღესასწაულზე გოგი ბუკიას ოჯახს გადაეცით მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომელიც ჩვენი ოჯახისთვის უდიდესი და უძვირფასესია.

ხატზე გამოხატულია იესო ქრისტე, სვეტიცხოვლის ტაძრის შემოსასვლელში უფლის კვართი და საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე.

მადლობა თქვენ, ბატონო ნუგზარ ასეთი საჩუქრისთვის.
ღმერთმა გაგაძლიეროთ და გაგახაროთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

გოგი ბუკიას ოჯახი.

კიდევ ერთი ლამაზად ჩავლილი დღე

„ჩემო პატარა მეგობრებო!

გილოცავთ ახალმოსახლეობას, თქვენ უფლება გაქვთ იცხოვროთ თქვენსავით ლამაზ გარემოში. ჩვენ კი შეგვწევს უნარი ვიყოთ ჯანმრთელი და განათლებული თაობის აღმზრდელნი.

ზაფხულის მონატრების შემდეგ გკოცნით და გეხვევით".

დაფაზე სახელდახელოდ დაწერილი ეს სიტყვები ხობის მუნიციპალიტეტის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის მთავარ სპეციალისტს ქალბატონ ნარგიზა ტუღუშს ეკუთვნის. ეს ის ბაღია, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა აღზრდის მაღალი დონით, ინტელექტუალური ღონისძიებებით, განსაკუთრებული მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკრებულოს წევრები, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი რევაზ წულაია და მოწვეული სტუმრები მარტვილიდან და სენაკიდან.

ზეიმზე მოსულებს ეზოში ბავშვთა ჟრიამული დახვდათ, თვალხატულა გოგო-ბიჭები ახალმოსახლეობას ზეიმობდნენ. იყო ლექსი, სიმღერა, ცეკვა, თამაში ტაში, ოვაციები...

ღონისძიების დასრულების შემდეგ პატარებს, მშობლებს და მთელ მუნიციპალიტეტს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომად-

პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით. რისი მომსწრეც მრავალჯერ ვყოფილვართ.

ყველაზე ლამაზი და საყვარელი ბაღის მონატრებაში გავლილი ორი თვის შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებას მოუთმენლად ელოდნენ, როგორც ბაღის თანამშრომლები, აღსაზრდელები ასევე მშობლები.

ეს დღეც დადგა...

პროექტი, რომლის ღირებულება 31,645 ლარია, ტენდერში გამარჯვებულმა შ.პ.ს. „ქართული სამშენებლო ჯგუფმა" (დირექტორი დავით გვენეტაძე, დირექტორის მოადგილე ირაკლი კილაძის ხელმძღვანელობით) განხორციელდა და ის რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. შენობა ამორტიზირების გამო მოითხოვდა სრულ რეაბილიტაციას. აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში შეიცვალა შენობის კარფანჯრები, მოეწყო ახალი ელექტრო და საკანალიზაციო ქსელი, შიდა გათბობა, გარემონტდა ყველა ოთახი და სრულიად გადაიხურა შენობა. რეაბილიტირებული ბაგა-ბაღის პრეზენტაციას ესწრებოდნენ ხობის

გენლებმა მიულოცეს ეს დღე და აღნიშნეს:–გჯეროდეთ, ხელისუფლება ზრუნავს თქვენზე და ჩვენი მთავარი მიზანია ყველა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება აკმაყოფილებდეს მაღალ სტანდარტულ მოთხოვნებს. ჩვენ ამას შევძლებთ, მთავარია, ნებისმიერი საქმე სიყვარულითა და მონდომებით აკეთოთ.

ღონისძიების დასრულების შემდეგ პატარები წინ გაუძღვნენ მოწვეულ სტუმრებს, სადაც ლამაზად მოწყობილ ოთახებში, ესტეთიკურ გარემოს ამშვენებდა ულამაზესი ხელოვნური ყვავილები და აპლიკაციები.

მადლობას გამოთქვამენ მშობლები, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ სტუმრები.

ლამაზად ჩაიარა სიხარულით აღსავსე კიდევ ერთმა დღემ. საზაფხულო არდადეგების შემდეგ ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები და აღსაზრდელები ახალი ენერგიით სავსენი შეუდგნენ საყვარელ საქმეს და იმედია, აქ აღზრდილი ქალიშვილები და ჭაბუკები დაამშვენებენ მომავალ საქართველოს!

ნაირა ბერაია

პლანეტაზე უძლიერესი მკლავის პატრონნი...

გენადი კვიკვინია

ვილენი გაბრავა

გოჩა სიჭინავა

ანრი ბუკია

27 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში მსოფლიო ოცდამეჩვიდმეტე ჩემპიონატი გაიმართა. მკლავჭიდში ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობა. მონაწილეთა შორის იყო 4 ხობელი სპორტსმენი: გენადი კვიკვინია, ვილენი გაბრავა, გოჩა სიჭინავა და ანრი ბუკია. 50 კგ. წონიათ კატეგორიაში გამოვიდა ანრი ბუკია და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ტოლი არ დაუდო მასზე გამოცდილ მეტოქეებს და ღირსეულად დაიკავა მე-3 ადგილი. ეს მისთვის უდიდესი მიღწევა და დიდი გამოცდილება იყო.

გოჩა სიჭინავა ამ სარბიელზე ევროპის ვიცე-ჩემპიონის რანგით წარსდგა. მან 70 კგ. წონით კატეგორიაში დაამარცხა წლევანდელი ევროპის ჩემპიონი და ხობის ისტორიაში მესამე სპორტსმენია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდა. დაუფასდა უნიჭიერეს მკლავჭიდელს შრომა, (მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ჯაჭვლიანი გოჩას ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.)

წელს, პირველად, დიდებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ვილენ გაბრავა, მან 60 კგ.წონიათ კატეგორიაში მოიპოვა ოქროს მედალი. მანამდე ვილენი ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი. ამდენად ეს ძალიან სასიხარულო ინფორმაციაა.

მინდა გამოვყო გენადი კვიკვინია, მსოფლიოს ხუთგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში უძლიერესია, მან აბსოლიტურ წონით კატეგორიაში უკვე მეექვსედ მოიპოვა ოქროს მედალი. ასე, რომ პლანეტაზე უძლიერესი მკლავის პატრონი ხობელი გენადი კვიკვინიაა.

ამ სპორტსმენების გამარჯვებები საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კობა თუთბერიძის დამსახურებაა.

ვულოცავთ მკლავმაგარ ბიჭებს.

ნაირა ბერაია

ნანა კემულარიას და მანუჩარ სამუშიას!

გილოცავთ ვაჟიშვილს, ნიკოლოზის მოვლინებას.

სახელოვანი მამულიშვილი გაგზრდოდეთ. გვიხარია თქვენი სიხარული და ჩვენც ამ სიხარულის თანაზიარნი გახლავართ.

გკოცნით და კიდევ ერთხელ გეფერებით.

დაე, აკვანთა სიმრავლე დაგაბედოთ უფალმა.

რედაქციელები.

მოლოცვები!

გოგი ბუკიას!

ჩვენო პატარა მეგობარო! გილოცავთ დაბადების დღეს, იარე სულ გამარჯვებებით, იყავი მხიარული, რათა სიხარული აგრძნობინო სხვებს, ღმერთმა გაპოვნინოს საკუთარი გზა, რათა ირგვლივ მყოფებს აპოვნინო გზა, მოგეცეს ძალა და უნარი ცხოვრების ლამპარზე მუდამ ენთო სანთლად. იყავი სასარგებლო და ღირსეული მამულიშვილი და მოქალაქე.

გვჯერა შენი საუკეთესო მომავლის.

რედაქციელები.

გოგი ბუკიას!

გოგიჩო, ჩვენო ერთადერთო ძამიკოვ, გილოცავთ დაბადების დღეს, იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი, მოსიყვარულე და წარმატებული...

გაზრდილიყავი სასახელო და გამორჩეული. დედიკოს, მამიკოსა და ჩვენი გულების გასახარებლად.

გკოცნით, გეხვევით, გეფერებით.

ტატა და ნუცა.

გიორგი ჯობავას!

ჩვენო პატარა გიორგი, უფლის საჩუქარო, დიდო სიხარულო, დაბადების დღეს გილოცავთ! გისურვებთ ჯანმრთელობას, ლამაზ და ბედნიერ დღეთა სიმრავლეს, სიხარულს, გაიზარდე ქვეყნის და ერის სასახელო ვაჟკაცი, ღვთის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს შენს დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად.

გკოცნით და გეფერებით.

ბაბუა, ბებია და ბიძა

მადლი ქენი, ქვაზე დადე...

მადლი ქენი, ქვაზე დადე....

ამ ცნობილი ანდაზის ხორცშესხმაა ის ფაქტი, რაც ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში მოხდა... მოხდა ის, რასაც წლების მანძილზე ველოდით, საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, რაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობას გულისხმობს.

ბავშვებს შეექმნათ არაჩვეულებრივი გარემო ლამაზი და ფერადი ოთახებით, გათბობით, ცხელი წყლით და ჯანსაღი კვებით. ჰყავთ მაღალკვალიფიციური და საქმისმოყვარული აღმზრდელები.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ თავის წინასაარჩევნო დაპირებებში ხობის მე-2 ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია ჩადო. ეს დაპირება რეალობად იქცა,–მადლობა მათ. მადლობა გვინდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომლებმაც ხარისხიანად ჩაატარეს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ესაა შ.პ.ს. „ქართული სამშენებლო ჯგუფის" თანამშრომლები (დირექტორი დავით გვენეტაძე).

ბავშვებს აქვთ უფლება იყვნენ ჯანმრთელები, განათლებულები, ბედნიერები. ამ უფლების თითოეული მუხლი ჩვენს საბავშვო ბაგა-ბაღში დაცულია.

მადლობა მათ, ვინც თუნდაც ერთი სიტყვა შეაწია ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელებას. გვჯერა, ეს მადლი მათ წინ დახვდებათ. მადლობა მათ ჩვენზე ზრუნვისთვის.

საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივი, აღსაზრდელები და მშობლები.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე"

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს" დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში."
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.